

წინო ტალახაქი

მე

და

საზოგადოება

IV კლასი

მასწავლებლის წიგნი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ 2018 წელს



გამომცემლობა „სიდი“
თბილისი, 2018

ნინო ტალახაძე

მე და საზოგადოება

IV კლასი, მასწავლებლის წიგნი

ძვირფასო მასწავლებლებო, ენვით გამომცემლობა სიდის ვებ-გვერდს: www.ceed.ge აქ დაგხვდებათ მოქმედი სახელმძღვანელოების ელექტრონული რესურსები, გადამწერისა და საჩვენებელი ფუნქციით.

სიახლეებისა და ახალი მასალების გასაცნობად, აგრეთვე, უკუკავშირისთვის ენვით facebook-გვერდს: „გამომცემლობა სიდი“. მოსწავლის სახელმძღვანელოებისა და რვეულების კომპლექტაციის სრული საჩვენებელი ვერსიები განთავსებულია აქვე მითითებულ ბმულებზე (ლინკები).

სიახლე: მშობლის დამხმარე რესურსი – საგნის „მე და საზოგადოება“ მიხედვით. ეს არის პირველი შემთხვევა, როცა საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში შემუშავდა რესურსი მშობლისათვის, კონკრეტული საგნის მიხედვით..
ძვირფასო მასწავლებლებო, გაუნიეთ რეკომენდაცია მშობლებს გაეცნონ გამომცემლობის მიერ შემოთავაზებულ ამ რესურსს.

რეკომენდაცია: ახალი საგნის სწავლების პირველ წელს, აჯობებს მეოთხეკლასელებისათვის რამდენიმე საათი დაუთმოს წინა წლის საკვანძო საკითხების გაცნობას, ან გაკვეთილის ჩატარებამდე გააცნოს მოსწავლეებს შესაბამისი წინა მასალა. მომდევნო წლებში კი იგივე შეიძლება გაკეთდეს წინარე ცოდნის გამეორების მიზნით. (წლიური პროგრამა ამის საშუალებას იძლევა).

© გამომცემლობა „სიდი“, 2018

© ნინო ტალახაძე, 2018

ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-8-0289-8

შპს „გამომცემლობა სიდი“, თბილისი, ნონეშვილის №5/9, ტელ.: 790265152
ვებ-გვერდი: www.ceed.ge; ელ-ფოსტა: info@ceed.ge; ceedgeorgia@yahoo.com

სარჩევი

წინასიტყვაობა	4
საგნის სწავლების მიზნების, ამოცანების, სტანდარტის შედეგებისა და სახელმძღვანელოს შინაარსის ურთიერთკავშირის რუკა (მატრიცა)	8
მეთოდური რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის	14
ინტერაქტიული სწავლების მეთოდები	16
შეფასება	24
მასწავლებლის გზამკვლევი	29
დანართი 1	55
დანართი 2	63

წინასიტყვაობა

საგნის ადგილი სასწავლო გეგმაში

კალენდარული სასწავლო გრაფიკი გათვლილია მე-4 კლასი – 36 კვირა. სასწავლო გეგმის შესაბამისად საგანი „მე და საზოგადოება“ ისწავლება მე-3 და მე-4 კლასში, კვირაში 2 საათი.

სასწავლო საგნის ზოგადი დახასიათება

საგანს „მე და საზოგადოება“ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სასწავლო საგნებს შორის დაწყებით კლასებში. ეს არის ის, რაც „მუდამ თან გაქვს“. რამეთუ მოსწავლეების მიერ სამყაროს შეცნობა არ შემოისაზღვრება გაკვეთილის ჩარჩოებით. ის გამუდმებით გრძელდება სკოლაში და მის გარეთ.

საგნის მნიშვნელობა იმაშიც მდგომარეობს, რომ მისი შესწავლით მოსწავლეები იძენენ პრაქტიკულ-საორიენტაციო ცოდნას ადამიანის, ბუნებისა და საზოგადოების შესახებ. სწავლობენ გაიაზრონ მიზეზ-შედეგობრივი კავშირები გარემოში, მათ შორის საკუთარი ქალაქის/სოფლის/თემის ბუნებისა და კულტურის მაგალითზე.

არსებითი თავისებურება საგნისა იმაში მდგომარეობს, რომ მასში რეალიზებულია საგანთშორისი კავშირები. საგანი „მე და საზოგადოება“ იყენებს და ამავე დროს ამყარებს ლიტერატურის, მათემატიკის, ბუნების, ინფორმატიკის, სახვითი ხელოვნების, სპორტის გაკვეთილებზე შეძენილ უნარებს.

საგნის „მე და საზოგადოება“ მეთოდუკად საფუძვლად უდევს პრობლემურ-კვლევითი მიდგომა. ის უზრუნველყოფს ბავშვების მიერ ახალი ცოდნის „აღმოჩენას“ და გარემოს შეცნობის სხვადასხვა გზების შეთვისებას. ამასთან გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდები და ფორმები.

საგნის სწავლების მიზნები

„მე და საზოგადოება“ III-IV კლასებში მიზნად ისახავს, მოსწავლეს ჩამოუყალიბოს პასუხისმგებლობა და მზრუნველი დამოკიდებულება საკუთარი თავის, ოჯახის, თემის, ბუნებრივი გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის მიმართ; ასევე:

- დაეხმაროს საკუთარი თავის საზოგადოების წევრად აღქმაში;
- ხელი შეუწყოს სოციალიზაციასა და თვითგამოხატვის უნარის განვითარებაში;
- გააცნობიერებინოს, რომ თავის უშუალო გარემოზე ზრუნვით იწყება სამშობლოს სიყვარული;
- გამოუმუშაოს გარემოში ადეკვატურად და ეთიკურად მოქმედების უნარი;
- ასწავლოს ზრუნვა საკუთარი და ოჯახის წევრების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოების დაცვაზე;
- განუვითაროს სხვადასხვა ტიპის კატასტროფების შემთხვევაში ადეკვატურად მოქმედების უნარი;
- ასაკის შესაბამისად ჩამოუყალიბოს ეთიკა და ზნეობრივი ღირებულებები.

მიმართულებების აღწერა

1. პიროვნული განვითარება - მიმართულების მიზანია, მოსწავლეს ასწავლოს თვით-შეფასება, რაც მომავალში საკუთარი შესაძლებლობების განსაზღვრაში დაეხმარება; ასევე განუვითაროს პასუხისმგებლობის გრძნობა. საგნის ეს მიმართულება მოსწავლეს შეაჩვევს ჯანსაღი ცხოვრების წესს (პირადი ჰიგიენისა და წესრიგის დაცვას, ჯანსაღ კვებას, ფიზიკურ აქტივობებს); ხელს შეუწყობს ჩამოყალიბდეს ღირსების, პასუხისმგებლობის, ზნეობრივი პრინციპების მქონე პიროვნებად, რომელსაც ექნება თვითკონტროლისა და თვითგამოხატვის უნარები.

2. ინიციატივა და მენარმეობა - მიმართულების მიზანია მოსწავლეს განუვითაროს კრიტიკული და ინოვაციური აზროვნება; აღჭურვოს იგი ისეთი უნარებით, როგორებიცაა: გადამწყვეტილების მიღება, მიზნების შესაბამისად რაციონალური მოქმედება, პრობლემის იდენტიფიცირება და გადაჭრა, დროის და სხვა რესურსების სწორად დაგეგმვა, ხარჯვა და დაზოგვა.

3. სოციალურ-კულტურული განვითარება, მოქალაქეობა და უსაფრთხოება - მიმართულების მიზანია, მოსწავლეს გაუღვივოს ინტერესი საკუთარი ქალაქის/სოფლისა და საკუთარი მხარის მიმართ; დაანახოს თავისი ადგილი მშობლიურ გარემოში; შეასწავლოს მის გარშემო მიმდინარე სოციალურ და კულტურულ პროცესებში მონაწილეობის საშუალებები; გააცნოს შესაძლო საგანგებო სიტუაციებიდან მომდინარე საფრთხეები; ჩამოუყალიბოს საგანგებო სიტუაციებში თვითგადარჩენისა და უსაფრთხოდ ქცევის უნარი. ამასთანავე, მოსწავლემ უნდა გაიაზროს დროის ფენომენი; დაინახოს, თუ როგორ ვითარდება ცხოვრებისეული მოვლენები და რა სახის ცვლილებებს აქვს ადგილი მის ლოკალურ გარემოში. აღნიშნული მიმართულება ჰუმანური ღირებულებების (არაძალადობრივი გზებით მოქმედება, შემწყნარებლობა (ტოლერანტობა), თანასწორობა) ჩამოყალიბებასა და აქტიური მოქალაქის აღზრდასაც უწყობს ხელს, რომელსაც გააზრებული აქვს საერთო წესების მნიშვნელობა, ზრუნავს საკუთარ ოჯახზე, სკოლაზე, ბუნებრივ გარემოსა და ისტორიულ მემკვიდრეობაზე, აღიქვამს მის ქვეყანაში არსებული სახელმწიფო ინსტიტუტების მნიშვნელობას.

III-IV კლასების სტანდარტი

ა) IV კლასის ბოლოს მისაღწევი შედეგები

ინდექსების განმარტება

დანყებით საფეხურზე სტანდარტში განვიხილავთ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., **საზ. მეც. დანყ. (I). 1.:**

„საზ. მეც. (I). 1.“

„საზ. მეც.“ - მიუთითებს საზოგადოებრივ მეცნიერებებს;

„დანყ.“ - მიუთითებს დანყებით საფეხურს;

„(I)“ — მიუთითებს, რომ სტანდარტი მოიცავს III-IV კლასებს;

„1“ - მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

„მე და საზოგადოების“ სტანდარტი (III-IV კლასები)	
შედეგების ინდექსი	1. მიმართულება: პიროვნული განვითარება
	სტანდარტის შედეგები მოსწავლემ უნდა შეძლოს:
საზ.მეც.დანყ.(I).1.	საკუთარი თავის აღქმა საზოგადოებრივი ჯგუფების - ოჯახის, სამეგობროს, სკოლის, თემის - წევრად;
საზ.მეც.დანყ.(I).2.	საკუთარი თავისა და სხვა ადამიანების მიმართ ზრუნვა-პატივისცემის გამოვლენა;
საზ.მეც.დანყ.(I).3.	ასაკის შესატყვისი ზნეობრივი კატეგორიების გაცნობიერება და საზოგადოებაში მიღებული ეთიკის ნორმების შესაბამისად მოქმედება;
საზ.მეც.დანყ.(I).4.	ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვა (პირადი ჰიგიენა, ჯანსაღი კვება, სპორტული აქტივობები);
საზ.მეც.დანყ.(I).5.	მშობლიური კულტურის მიმართ მზრუნველი დამოკიდებულების გამოვლენა.
	2. მიმართულება: ინიციატივა და მენარმეობა
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
საზ.მეც.დანყ.(I).6.	საკუთარი საქმიანობის დაგეგმვა და მისი მოსალოდნელი შედეგების გაცნობიერება; რესურსების დაგეგმვა და დაზოგვა;
საზ.მეც.დანყ.(I).7.	სხვადასხვა პროფესიისა და საქმიანობის მნიშვნელობისა და საჭიროების გაცნობიერება;
საზ.მეც.დანყ.(I).8.	ასაკის შესატყვისი სამომხმარებლო და ეკონომიკური უნარ-ჩვევების გამოვლენა.
	3. მიმართულება: სოციალურ-კულტურული განვითარება, მოქალაქეობა და უსაფრთხოება
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
საზ.მეც.დანყ.(I).9.	მოვლენების დროსთან დაკავშირება და ტერმინების - წარსულის, აწმყოს, მომავლის - ადეკვატურად გამოყენება;
საზ.მეც.დანყ.(I).10.	ღირებულებების (მაგ. ეთიკური ქცევის ნორმების დაცვა, სამართლიანობა, პასუხისმგებლობა, ქვეყნის კულტურული მრავალფეროვნების გააზრება და დაფასება) რეალურ სიტუაციებთან დაკავშირება;
საზ.მეც.დანყ.(I).11.	ლეგენდებისა და მითების, კულტურულ-ისტორიული ძეგლების, მნიშვნელოვანი მოვლენების, ისტორიული და თანამედროვეპიროვნებების ლოკალურ გარემოსთან დაკავშირება;
საზ.მეც.დანყ.(I).12.	მოსწავლის საცხოვრებელ გარემოში წარმოდგენილისხვადასხვა სოციოკულტურული ინსტიტუტის ფუნქციების გაცნობიერება (მაგ.: სკოლის, უნივერსიტეტის, სამედიცინო დაწესებულების, მუზეუმის, კინოს, კლუბის, პოლიციის);
საზ.მეც.დანყ.(I).13.	ბავშვის უფლებებისა და მოვალეობების გაცნობიერება, ასევე ოჯახისა და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის გააზრება;

საზ.მეც.დანყ.(I).14.	ქცევის წესების გათავისება, თანატოლებთან მათი შეთანხმება და დაცვა;შემწყნარებლობის გამოვლენაგანსხვავებული კულტურის, ეროვნების, შესაძლებლობების მქონე ადამიანების მიმართ;
საზ.მეც.დანყ.(I).15.	საგანგებო(ბუნებრივი კატასტროფების დროს) და ცხოვრებისეულ (მაგ.: ქუჩაში, ტრანსპორტში, ექსკურსიაზე) სიტუაციებში სამოქალაქო უსაფრთხოების წესების დაცვით მოქმედება;
საზ.მეც.დანყ.(I).16.	კონფლიქტურ სიტუაციებში პრობლემის გადაჭრის მშვიდობიანი გზების მოძებნა;
საზ.მეც.დანყ.(I).17.	მზრუნველობის გამოვლენა ბუნებრივი გარემოსა და ისტორიული მემკვიდრეობის მიმართ.

სახელმძღვანელოთი სწავლების ეფექტიანობა

სახელმძღვანელო დაწერილია მარტივი ენით, ლაკონურად, ფერადოვანია, საინტერესო და თანმიმდევრული. გაკვეთილის სტრუქტურა ისეა მოფიქრებული, რომ მასწავლებელს გაუადვილდება ბავშვის სამყაროში შესვლა და მისი გამონვევა, ამასთან თვით მასწავლებელსაც განაწყობს სრულფასოვანი გაკვეთილის ჩასატარებლად.

გაკვეთილი ისეა სტრუქტურირებული, რომ მოსწავლე მთელი გაკვეთილის განმავლობაში სწავლების სუბიექტად რჩება. მოსწავლეებში გულახდილი მსჯელობის ნახალისებას ხელს უწყობს საკვანძო საკითხებთან დაკავშირებული კითხვები „რატომ?“ და „როგორ?“ ამ კითხვებზე მოსწავლე თავად ეძებს პასუხს და გააზრებული, შეგნებული დამოკიდებულება და პირადი პოზიცია უყალიბდება.

კითხვა „რატომ?“ ეხმარება მოსწავლეს ჩაულრმვდეს რეალური ცხოვრების ნებისმიერ სფეროში მიმდინარე პროცესებს.

კითხვა „როგორ?“ ეხმარება მოსწავლეს საბაზისო ცოდნის შექენაში. მაგ.: როგორ შეიძლება შეფასდეს ადამიანისა და საზოგადოების როლი საგზაო მოძრაობის წესების დაცვაში?

საგნის სწავლების მიზნების, ამოცანების, სტანდარტის შედეგებისა და სახელმძღვანელოს შინაარსის ურთიერთკავშირის რუკა (მატრიცა)

	სწავლების შინაარსი	სწავლების მიზანი და ამოცანები	სასწავლო დროის მოცულობა	შესაბამისობა სტანდარტის შედეგებთან
1	I თემა: განათლება		19	
	წარმატების დასაწყისი	ცხოვრებისეულ სიტუაციებში სამოქალაქო	2	(საზ.მეც.დანყ.(I). 6, 7, 10); (საზ.მეც.დანყ.(I). 3, 6); (საზ.მეც.დანყ.(I) 12).
	როგორ გამომადგება სწავლა მომავალში	უსაფრთხოების წესების დაცვით მოქმედების	2	(საზ.მეც.დანყ.(I) 2, 13, 15); (საზ.მეც.დანყ.(I). 15);
	შრომა – უფლება თუ მოვალეობა	უნარების გამომუშავება;	2	(საზ.მეც.დანყ.(I). 4); (საზ.მეც.დანყ.(I). 3, 6); (საზ.მეც.დანყ.(I). 2, 6, 8,
	ჩვენ მაყურებლები ვართ	სწავლისა და შრომისადმი	2	15, 17); (საზ.მეც.დანყ.(I). 3, 12);
	ჩვენ მივდივართ მუზეუმში	პატივისმცემლური და მოტივირებული დამოკიდებულების	1	(საზ.მეც.დანყ.(I).12); საზ.მეც.დანყ.(I) 13, 14); (საზ.მეც.დანყ.(I).13);
	მე მკითხველი ვარ!	შექმნა;	1	
	ექსკურსია, ექსკურსია	ბავშვის უფლებ-მოვალეობების გაცნობიერება.	2	
	ისევ ლაშქრობა		2	
	ექსტრემალური სიტუაცია		2	
	მიყვარს სპორტი		1	
	ბედნიერი არდადეგები!		1	
	პროექტი: მე საქართველოს მოქალაქე ვარ!		1	

2	II თემა: მედია და ინფორმაცია		11	(საზ.მეც.დანყ.(I). 2, 6, 10, 12, 13, 14, 15, 16, 17);
	ინფორმაცია	ინფორმაციის მოპოვების, გაანალიზების უნარის ჩამოყალიბება;	2	(საზ.მეც.დანყ.(I) 9, 11);
	ჩვენ ვიკვლევთ	სოციალური ქსელების საფრთხეებისაგან დაცვის უნარების გამომუშავება.	1	(საზ.მეც.დანყ.(I) 2, 3, 14);
	მასობრივი ინფორმაციის საშუალებები		1	(საზ.მეც.დანყ.(I).16);
	თოქ-შოუ		2	(საზ.მეც.დანყ.(I).6.);
	უსაფრთხო ინტერნეტი		2	
	იყიდეთ რამე!		2	
	ჯანსაღი ცხოვრება და კომპიუტერი		1	
	პროექტი: სოციალური რეკლამა		2	

3	III თემა: შენ და საზოგადოება		21	(საზ.მეც.დანყ.(I) 5, 10, 11, 13, 17);
	საზოგადოება - ჩემი ქვეყანა	ბუნებრივი გარემოსა და ისტორიული მემკვიდრეობის მიმართ	1	(საზ.მეც.დანყ.(I) 2, 3, 14); (საზ.მეც.დანყ.(I). 5, 10). (საზ.მეც.დანყ.(I). 6, 10, 17).
	ჩვენი წინაპრები	მზრუნველობის გამომუშავება;	1	(საზ.მეც.სტ.IV. 6, 8, 17) (საზ.მეც.დანყ.(I) 1, 9, 11);
	ვუფრთხილდები რესურსებს	ქცევის წესების გათავისება, თანატოლებთან	1	(საზ.მეც.დანყ.(I). 5, 10). (საზ.მეც.დანყ.(I) 9, 10, 11, 17);
	ჩემი სამშობლოს ტრადიციები	მათი შეთანხმება და დაცვა; შემწყნარებლობის	1	(საზ.მეც.სტ.IV. 9, 11, 17); (საზ.მეც.დანყ.(I).4). (საზ.მეც.დანყ.(I) 2, 3, 10, 13, 14, 17);
	საქართველოს განძი და მისი მცველები	გამოვლენა განსხვავებული კულტურის,	2	(საზ.მეც.სტ.IV. 6, 8, 17); (საზ.მეც.დანყ.(I). 6, 10, 17).
	ჩვენ განსხვავებულები ვართ	ეროვნების, შესაძლებლობების მქონე ადამიანების	2	აზრს?(საზ.მეც.დანყ.(I) 2, 3, 14);
	საქართველოს მოქალაქე	მიმართ;	1	(საზ.მეც.დანყ.(I) 2,3, 10, 14);
	ჩემი ქვეყნის სიმბოლოები	ბავშვის უფლებებისა და მოვალეობების	1	(საზ.მეც.დანყ.(I). 5, 9, 11, 17);
	სად იბადება კანონები	გაცნობიერება, ასევე ოჯახისა და საზოგადოების	1	(საზ.მეც.დანყ.(I). 1, 3, 4, 5, 9, 10, 11, 15).
	საზღვარი ქვეყნის ზღურბლია	წინაშე პასუხისმგებლობის გამომუშავება	1	
	უფლებები და მოვალეობები ჩემს ცხოვრებაში	ჯანსაღი ცხოვრების წესის გამომუშავება;	2	
	ბუნება უნდა დავიცვათ	ეკონომიკური უნარ-ჩვევების გამომუშავება.	2	
	ეს საიცარი ბუნება		1	
	მავნე ჩვევები		1	
	სახაფათო, საშინელი და მავნე		1	
	ჯანსაღი ცხოვრება ჩემს ქვეყანაში		2	

მოსწავლის წიგნის ლოგიკა, სტრუქტურა და შინაარსი

გარდა იმისა, რომ სახელმძღვანელო აწვდის ფუნდამენტური ცნებების ასათვისებლად საჭირო ინფორმაციას, ასევე შეიცავს დამატებით საკითხავ საინტერესო მასალას შესაბამის თემასთან მიმართებაში.

გაკვეთილზე ინტეგრირებულად გამოიყენება აქტიური სწავლების მეთოდები:

- ჯგუფური სწავლება;
- თამაშები;
- პროექტი;
- მოდელირებული სავარჯიშოები;
- პრეზენტაცია;
- დებატები;
- როლური თამაშები.

მასწავლებლის მიერ გამოყენებული იქნება:–

- **სტრუქტურირებული პრაქტიკა** – მასწავლებელი კლასთან ერთად ხსნის სიტუაციურ ამოცანას ან ანალიზებს რომელიმე პრობლემას;
- **მიზანმიმართული პრაქტიკა** – მოსწავლეები დამოუკიდებლად მუშაობენ, მასწავლებელი კი აკონტროლებს მათ და კორექტირებას უკეთებს უკუკავშირის პროცესში;
- **დამოუკიდებელი პრაქტიკა** – მოსწავლეები დამოუკიდებლად მუშაობენ მასწავლებელთან უშუალო კავშირის გარეშე;
- **გაგების (აღქმის) შემონახვა** – უკუკავშირის უზრუნველყოფა, მასალის არასწორად გაგებით გამონეული შეცდომების გამოსწორება;
- **მოსწავლეთა მოტივაციის გაძლიერება** – მათ მიერ გაკვეთილის მსვლელობისას უფრო მეტად გააქტიურების მიზნით.

გაკვეთილზე მასწავლებლის ძირითადი როლი ე. წ. „აღმოჩენით სწავლების“ ხელშეწყობას გულისხმობს, რაც მოსწავლეებისათვის ინსტრუქციებისა და ახსნა-განმარტებების მიცემას ითვალისწინებს. ამასთანავე მასწავლებელი მოდელირებული სავარჯიშოებისა და დისკუსიის ორგანიზებას, სიტუაციური სავარჯიშოს ფონზე მოსწავლეთა ორიენტაციას ანუ განვლილი მასალიდან ამოცანების დასახვით ახალი კონცეფციების ახსნას მოახდენს.

მასალა მცირე დოზებით გადაიცემა. კონცეფციები წარმოდგენილი იქნება თვალსაჩინოებების მეშვეობით, რომელიც ავტორების მიერ მომზადებული და განთავსებულია შესაბამისი გაკვეთილში მოსწავლის წიგნში.

მასწავლებლისათვის შეთავაზებული **მეთოდიკა** თანამიმდევრულია, გამართული და აპრობირებულია. ის ემსახურება ცოდნის მიწოდებას აღმოჩენის გზით „სწავლებას კეთებით“- აქტივობით (დევიზით) —

- ✓ მე მესმის და მავინყდება;
- ✓ მე ვხედავ და ვიმახსოვრებ;
- ✓ მე ვაკეთებ და ვსწავლობ.

თემიდან გადახვევის თავის არიდების მიზნით გზამკვლევაში მოცემულია მეცადინეობის ჩატარების ინსტრუქციები:

- გაკვეთილის მსვლელობის აქტიური დინამიური და ეფექტიანი პროცედურები;

- მასალის მიწოდების და აქტივობების თანამიმდევრულობა;
- საჭირო დრო;
- რესურსები.

ამასთან მასწავლებელს დამოუკიდებლობა და თავისუფლება ენიჭება მზა ინსტრუქციების შემოქმედებითად გამოყენებისათვის.

გაკვეთილის დასაწყისში მოცემულია კითხვები, რომელიც განსახილველი საკითხის ძირითად ცნებებთან და პრინციპებთან დაკავშირებულ პრობლემებს შეეხება. ეს არის ფიქრისა და განსჯის გამომწვევი კითხვები. ისინი მოსწავლისაგან წარმოდგენასა და გამოცდილებას ეფუძნება და საკითხის განხილვის დაწყების საშუალებად გამოდგება, მოსწავლეს თემისადმი ინტერესს უღვივებს. კითხვების მიზანია:

- ინტერესის გაჩენა;
- ცოდნის გადაცემა;
- უნარ-ჩვევების განვითარება;
- ცოდნის განმტკიცება;
- ცოდნის შეფასება;
- ცოდნის ინტეგრირება;
- პრაქტიკული გამოყენების ასპექტების გაცნობა;
- ჯგუფური და ინდივიდუალური დავალებების მომზადება და პრეზენტაცია.

გაკვეთილის ასეთი სტრუქტურა საინტერესოს და ხალისიანს ხდის სწავლების პროცესს და ბავშვებს თვითგამოვლენაში ეხმარება, რისთვისაც ისინი მუდმივად იმსახურებენ მასწავლებლის შექებას. ასეთი ჩამოყალიბებული სტრუქტურა პედაგოგს არ ზღუდავს მრავალფეროვანი და იმპროვიზებული გაკვეთილები ჩაატაროს.

თემის ახსნა იწყება სიტუაციური ან მოდელირებული სავარჯიშოს ანალიზით. მასწავლებლის დახმარებით ხდება მოყვანილი ფაქტების სისტემატიზაცია, განზოგადება, თეორიის ჩამოყალიბება და საკუთარი ცხოვრებისეული დაკვირვების შედეგების მოშველიებით ამ თეორიის ჭეშმარიტების შემოწმება.

თითოეულ თემასთან მიმართებაში განიხილება რეალურად არსებული პრობლემები. მოსწავლეებს მარტივი კვლევის ჩატარების საშუალება ეძლევათ. ტექსტში მოყვანილია მაგალითები რეალური ცხოვრებიდან. ფოტოები, ცხრილები, სქემები და დიაგრამები ისეა შერჩეული, რომ მოსწავლეს მასალის აღქმაში დაეხმაროს. ტერმინები ფერადოვნადაა გამოყოფილი. მნიშვნელოვანი განმარტებები ჩარჩოშია მოთავსებული.

იმისათვის, რომ მოსწავლეს შინაარსზე მუშაობა გაუადვილდეს, მოსწავლის წიგნს ახლავს **მოსწავლის რვეული**. თითოეული გაკვეთილის შესაბამისი პრაქტიკული სავარჯიშოები, გამოცანები, კროსვორდი, ტესტები მოცემულია მოსწავლის რვეულში. ეს აქტივობები შინაარსთან და დამოკიდებულებებთან დაკავშირებული შედეგების მიღწევას აადვილებს. სავარჯიშოების მიზანია ნასწავლი მასალის გააზრება-წვდომა, აზროვნების სტიმულირება, სქემების, ცხრილებისა და დიაგრამების ინტერპრეტაციის უნარ-ჩვევის განვითარება. სავარჯიშოები, ცოდნის შესამოწმებელი კითხვები მოცემულია საკვანძო

საკითხთან მიმართებაში, რათა მოსწავლემ მაშინვე შეამოწმოს, როგორ გაიგო ახსნილი კონცეფცია.

სახელმძღვანელო რვეულთან ერთად ითვალისწინებს მეტი დოზით პრაქტიკულ სამუშაოს, სადაც მასწავლებელი თვითონ წყვეტს, რომელი სავარჯიშო შეასრულოს/ან არ შეასრულოს. შერჩევის საშუალებას კი აქტივობების სიუხვე ნამდვილად იძლევა. სასურველია, სამუშაოს მეტი ნაწილი შესრულდეს კლასში.

დაუშვებელია, რაიმე მიზეზით ჩამორჩენის გამო, მოსწავლეებს სახლში დავალოთ დიდი მოცულობის დავალებების შესრულება.

ტექსტი დაწერილია ნებისმიერი მოსწავლისათვის გასაგები ენით, შეესაბამება ასაკს, ინტერესებს და შესაძლებლობებს. მასში ჩართული კითხვები დისკუსიის, მსჯელობის, აზროვნების ინიცირებისთვისაა გამიზნული ან **თხზულების მოსამზადებლად** – მოსწავლისაგან საკუთარი თვალსაზრისის გამოთქმას, დასაბუთებას, კონცეფციების ცხოვრებისეული სიტუაციებთან და პირად გამოცდილებასთან დაკავშირებას მოითხოვს.

დამატებითი მასალა (**ეს საინტერესოა!**) თემასთან დაკავშირებულ საინტერესო ფაქტებს ეხება.

ფოტოები, სქემები, ცხრილები, დიაგრამები და სხვა ვიზუალური საშუალებები ისეა შერჩეული, რომ ხაზი გაუსვას მნიშვნელოვან ცნებებს ან/და განხილვის ინიცირება მოახდინოს.

იმისთვის, რომ მოსწავლეს შინაარსზე მუშაობა გაუადვილდეს:

- ყველა საკვანძო ცნების ახსნა მოსწავლეთათვის გასაგებ და ნაცნობ გარემოსთან ანალოგიის გზით ხდება;
- ამავე ნაცნობ გარემოში უნევს მოსწავლეს დავალებების შესრულება — ინფორმაციის მოძიება, თხზულების მოფიქრება, პრეზენტაცია, მინი-პროექტის დაგეგმვა და განხორციელება.

ავტორს მიაჩნია, რომ ეს ოპტიმალური გზაა ახლადშეძენილი უნარების აპრობაციისათვის და რთული ცნებების შემეცნების გაადვილებისათვის. მოზარდი სავარჯიშოების შესრულებისას სწავლობს ანალოგიის გაკეთებას, განზოგადებას, ინფორმაციის სინთეზს, ის ადვილად შეძლებს კურსის განმავლობაში შეძენილი ცოდნისა და უნარების გამოყენებას უფრო ფართო ასპარეზზე და უფრო კომპლექსური და ცხოვრებისეული ამოცანების გადასაჭრელად, იმისგან განურჩევლად, თუ რა პროფესიას აირჩევს.

სახელმძღვანელო სთავაზობს მოსწავლეებს ინფორმაციის მოძიების ერთ-ერთ ფორმას – **ინერნეტ-რესურსებს**. მოსწავლეთა დიდმა ნაწილმა იცის ინტერნეტით სარგებლობა და, თუ მრავალსაათიანი კომპიუტერული თამაშებისათვის განკუთვნილი დროის ნაწილს ახალი მასალის გაცნობას მოახმარენ, ნამდვილად სასარგებლო იქნება. თუმცა უამრავი ბავშვია, რომელსაც კომპიუტერთან ხელი არ მიუწვდება. სწორედ ამიტომ მასწავლებელს ვაძლევთ რეკომენდაციას, ვებ-გვერდების გაცნობა და დამატებითი ინ-

ფორმაციის მოძიება არ იყოს სავალდებულო. თუმცა მონდომებული მოსწავლეების შრომა აუცილებლად უნდა წახალისდეს.

მოსწავლის სახელმძღვანელო 3 თავისაგან და 48 პარაგრაფისაგან შედგება და საგნის „მე და საზოგადოება“ თითოეულ სტანდარტს შეესაბამება. სახელმძღვანელო და რვეული დაყოფილია 2 ნაწილად.

მოსწავლის წიგნშიც და რვეულშიც შენარჩუნებულია თავების (მიმართულებების) სათაურები. გაკვეთილების სათაურები იშვიათი გამონაკლისის გარდა ზუსტად ემთხვევა სტანდარტით შემოთავაზებულ შინაარსს (იხილეთ თანდართული თემების ჩამონათვალი). გაკვეთილებს კი დამოუკიდებელი, დამაინტრიგებელი სათაურები აქვს.

მეთოდური რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის

მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის განხორციელება მასწავლებლის მაღალ პროფესიონალიზმს და სწავლების მრავალფეროვანი სტრატეგიების ცოდნას მოითხოვს. მასწავლებელი ყოველი გაკვეთილისათვის უნდა მოემზადოს, რაც პირველ რიგში გაკვეთილის დაგეგმვას საჭიროებს.

გაკვეთილის დაგეგმვა

გაკვეთილის ფაზები:

- I. პროვოცირება (გამოწვევა);
- II. სიღრმისეული წვდომა;
- III. რეფლექსია.

გაკვეთილის დაგეგმვის ცხრილი

მიზანი	განსაზღვრავს იმ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რასაც მოსწავლე გაკვეთილის პროცესში უნდა დაეუფლოს. გაკვეთილის მიზანი უნდა იყოს კონკრეტული და შესრულებადი . იგი იწერება მარტივად . მაგ: გააანალიზებენ მოვლენას, გადაჭრიან პრობლემებს და ა.შ.
თემა	პარაგრაფი, სათაური
აქტივობა	მასწავლებლის მიერ დაგეგმილი საკუთარი და მოსწავლეების ის ქმედებებია, რომელიც სასწავლო მიზნის მიღწევას ემსახურება. მოიფიქრეთ და დაწერეთ: 1. როგორ მიაღწიოთ დასახულ მიზანს? 2. რას გააკეთებთ თქვენ მიზნის მისაღწევად და რას გააკეთებენ მოსწავლეები?
ორგანიზების ფორმა	ინდივიდუალური მუშაობა, მუშაობა: წყვილებში, ჯგუფური, მთელ კლასთან.

მიზანი	განსაზღვრავს იმ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რასაც მოსწავლე გაკვეთილის პროცესში უნდა დაეუფლოს. გაკვეთილის მიზანი უნდა იყოს კონკრეტული და შესრულებადი . იგი იწერება მარტივად . მაგ: გააანალიზებენ მოვლენას, გადაჭრიან პრობლემებს და ა.შ.
დრო	უნდა განისაზღვროს ყოველი აქტივობის მიახლოებითი დრო. რომელ აქტივობას რამდენ დროს დაუთმობთ?
რესურსები	რა მჭირდება ისეთი, რაც მიზნის მისაღწევად დამეხმარება? (აღჭურვილობები, თვალსაჩინოებები, სახელმძღვანელო, ჟურნალები, სტატიები, სამუშაო ფურცლები, ტელეფილმები, ინტერნეტი, დაფა, ცარცი, მარკერები, ფლომასტერები, ბარათები და სხვა).
შეფასება	რომელ კომპონენტში ვაფასებთ? (იგულისხმება, რომ შესაძლებელია ერთი მოსწავლე შეფასდეს ერთდროულად რამდენიმე კომპონენტში ან რამდენიმე მოსწავლე სხვადასხვა კომპონენტში).

გაკვეთილის ჩატარების შემდეგ აუცილებელია რეფლექსია.

შეფასების რომელ ხერხს გამოიყენებთ იმისათვის, რომ გაიგოთ, რა ისწავლეს მოსწავლეებმა? განსაზღვრული უნდა იყოს:

რას აფასებთ? (მხოლოდ მიზნიდან გამომდინარე უნარებსა და ცოდნას);

როგორ აფასებთ? (რუბრიკებით).

ინტერაქტიული სწავლების მეთოდები

წყვილავი და ჯგუფავი

ეს მეთოდი სოციალური ანუ თანამშრომლობითი სწავლების ფორმაა. კომუნიკაბელურობის, კრიტიკული აზროვნების, სხვების მოსმენისა და საკუთარი პოზიციის მკაფიოდ გამოხატვის საუკეთესო საშუალებაა მოსწავლეთა დაჯგუფება ერთობლივი დავალების შესრულების მიზნით.

წყვილებისა და ჯგუფების მუშაობა ხელს უწყობს თანამშრომლობის ჩვევის გამომუშავებას. ამ სავარჯიშოების შესრულებისას მოსწავლეები სწავლობენ ერთმანეთის მოსმენას, სხვისი აზრის გაზიარებას, კრიტიკულ აზროვნებასა და შეფასებას, საკუთარი აზრის გამოთქმას, დასაბუთებას და ა.შ. ისინი ეჩვევიან ფუნქციების დანაწილებას, დროის რაციონალურ გამოყენებას.

გთავაზობთ წყვილებში მუშაობის წესებს:

- მასწავლებელი კლასს ყოფს წყვილებად;
- კლასს ეძლევა საერთო დავალება;
- მოსწავლეები სამუშაოს ასრულებენ წყვილებში;
- თამაშის დრო განსაზღვრულია (სამუშაოს სირთულის მიხედვით);
- მასწავლებელი თვითონ ანაწილებს მონაწილეების ფუნქციებს.
-

წყვილებში მუშაობის დროს ბავშვებს მოეთხოვებათ ყურადღების კონცენტრაცია. ისინი პასუხისმგებლობას გრძნობენ თავიანთი მენეჯერის მიმართ.

წყვილებში გამომუშავებული თანამშრომლობის ჩვევა კიდევ უფრო მტკიცდება ჯგუფებში მუშაობისას

ჯგუფური მუშაობა

მცირე ჯგუფებში მუშაობა საკმაოდ ცნობილი მეთოდია, რომელიც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, აქტიურად მიიღონ მონაწილეობა ჯგუფის მუშაობასა და საერთო აზრის ჩამოყალიბებაში, ისწავლონ ერთმანეთის მოსმენა, თანამშრომლობა და ურთიერთშეთანხმება. მცირე ჯგუფებში მუშაობისას მორცხვ მოსწავლეებსაც კი უადვილდებათ აზრის გამოხატვა. ამ მეთოდის გამოყენება მიზანშეწონილია იმ პრობლემის გადასაჭრელად, რომლის გადაწყვეტაც დამოუკიდებლად ვერ ხერხდება.

მოსწავლეები იყოფიან მცირე ჯგუფებად. ჯგუფის თითოეულ წევრს უნდა ჰქონდეს თავისი ფუნქცია, მასწავლებელმა თვალყური უნდა ადევნოს ჯგუფების მუშაობას. ჯგუფში მოსწავლეებმა შეიძლება შემდეგი ფუნქციები შეასრულონ:

- ფასილიტატორი (მოსწავლე, რომელსაც მიჰყავს დისკუსია);
- რეგისტრატორი (მოსწავლე, რომელიც წერილობით აყალიბებს გამოთქმულ მოსაზრებებს);
- მომხსენებელი;
- მოსწავლე, რომელიც მუშაობს კითხვებზე;
- კორექტორი (მოსწავლე, რომელიც ახდენს ტექსტის სწორ ფორმულირებას);
- დამკვირვებელი.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ იმ მოსწავლეებს, რომლებსაც უძნელდებათ ჯგუფში მუშაობა. სასურველია, ჯგუფში არ იყოს 5 წევრზე მეტი. ჯგუფს შეგიძლიათ მიუჩინოთ კოორდინატორი.

დაეხმარეთ მოსწავლეებს, მიუთითეთ გამოსაყენებელი მასალის შესახებ. დამკვირვებელს სთხოვეთ, თვალყური ადევნოს ჯგუფის თითოეული წევრის საქმიანობას, ქცევას, აქტიურობას, შეძენილი ცოდნისა და უნარის გამოყენებას.

მცირე ჯგუფებში მუშაობის დროს, მოსწავლეთა რაოდენობიდან გამომდინარე, შეიძლება შემდეგი სიძნელეები წარმოიშვას:

ორკაციანი ჯგუფი ზოგადად გამოირჩევა ინფორმაციის გაცვლის მაღალი დონით. აქ უთანხმოების ალბათობა ნაკლებია, მაგრამ თუ ასეთი რამ მაინც მოხდა, წარმოიშობა დაპირისპირება. ვინაიდან არც ერთ მონაწილეს მხარდამჭერი არ ჰყავს, შესაძლებელია ისინი ვერ შეთანხმდნენ.

სამკაციანი ჯგუფი უფრო სტაბილური სტრუქტურით გამოირჩევა, ვინაიდან არის შესაძლებლობა, მცირე და დროებითი კოალიცია შეიქმნას, თუმცა გამორიცხული არ არის, რომ ორმა ძლიერმა მესამე დაჩაგროს.

ოთხკაციანი ჯგუფი. იმ ჯგუფში, სადაც მოსწავლეთა რაოდენობა ღუწია, შეთანხმება უფრო ძნელია, ვინაიდან ხმები შეიძლება თანაბრად გაიყოს და ჯგუფი ჩიხში აღმოჩნდეს.

ხუთკაციანი ჯგუფში ყველა მოსწავლეს აქვს საშუალება, მონახოს თანამოაზრე, მაგრამ მონაწილეთა შედარებით დიდი რაოდენობა აბრკოლებს თითოეული მათგანის მიერ აზრის გამოთქმას.

მოსწავლეების განაწილება ჯგუფებად

გამოცდილი მეთოდისტიების აზრით, სასურველია, თითოეულ ჯგუფში თანაბრად იყვნენ ძლიერი, საშუალო და სუსტი შესაძლებლობების მქონე მოსწავლეები. ვინაიდან ასეთ ჯგუფებში ხდება შემოქმედებითი აზროვნების სტიმულირება და მოსაზრებათა ინტენსიური გაზიარება. მოსწავლეთა მიერ აზრის გამოთქმის დროს პრობლემის განხილვა უფრო დეტალური და მრავალმხრივია. მრავალფეროვან ჯგუფებში (სხვადასხვა სქესის, ხასიათისა და კულტურის მქონე მოსწავლეებით დაკომპლექტებული) უფრო კონსტრუქციული ურთიერთობებია.

ჯგუფების ფორმირების სხვადასხვა წესი არსებობს. ყველაზე მარტივი საშუალებაა, სთხოვოთ მოსწავლეებს, გაითვალონ პირველ - მეორეზე (პირველ-მესამეზე და ა.შ.). შემდეგ ერთი და იმავე ნომრის მიხედვით მოსწავლეები დაჯგუფოთ გუნდებად (პირველები ერთ გუნდში და ა.შ.).

ზოგიერთი მასწავლებელი არ ცვლის ჯგუფის შემადგენლობას მთელი პროგრამის განმავლობაში. სტაბილური ჯგუფის შენარჩუნება ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ ჯგუფში მუშაობის უნარ-ჩვევების დაუფლებას. არაეფექტურ ჯგუფში წევრთა ცვლილება ხშირად არაპროდუქტიულია. ერთ გუნდში თამაშით მოსწავლეები თანდათან

სწავლობენ პრობლემის გადაჭრასა და თანამშრომლობას. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფი კარგად ვერ მუშაობს, უმჯობესია, აუხსნათ მათ, რომ მცირე ჯგუფებში მუშაობა ორიენტირებულია ურთიერთობისა და თანამშრომლობის უნარ-ჩვევების განვითარებაზე. პრობლემის გადასაჭრელად შესაძლოა ჯგუფის მუშაობაში მასწავლებელი ან სხვა გამოცდილი პირი ჩაერთოს.

ტიპური პრობლემები

მუშაობის დროს გუნდი ან მასწავლებელი შეიძლება შემდეგ პრობლემებს შეხვდეს:

- შესაძლოა, ჯგუფის ყველა წევრს ერთნაირად არ ეძლეოდეს აზრის გამოთქმის საშუალება;
- მოსწავლის მიერ წინასწარი აზრის ჩამოყალიბება, მისი მოსაზრების სისწორის შესახებ და იმის შესახებ, რომ ალტერნატივა არ აქვს, აძნელებს დისკუსიის, კომპრომისის შესაძლებლობასა და ერთიანი გადაწყვეტილების მიღებას;
- მოსწავლეები ცდილობენ, თვითონ ილაპარაკონ და არ აქცევენ ყურადღებას თანაკლასელთა მიერ გამოთქმულ აზრს;
- ჯგუფში სხვადასხვა პოზიციამ შეიძლება დაძაბულობა ან კონფლიქტი გამოიწვიოს.

რეკომენდაციები მცირე ჯგუფებში მუშაობისთვის:

- დარწმუნდით, რომ მოსწავლეებს დავალების შესასრულებლად სათანადო ცოდნა გააჩნიათ და საჭირო უნარ-ჩვევებს ფლობენ;
- ეცადეთ, თქვენი მითითებები მაქსიმალურად მკაფიო და კონკრეტული იყოს;
- დავალების შესასრულებლად ჯგუფებს საკმარისი დრო მიეცით. ამასთან, მოიფიქრეთ რაიმე იმ ჯგუფისთვის, რომელმაც დავალება დროზე ადრე შეასრულა;
- ჯგუფებში მოსწავლეთა რაოდენობა თანდათანობით 5-მდე გაზარდეთ;
- მცირე ჯგუფებში მუშაობის მეთოდი იმ შემთხვევაში გამოიყენეთ, თუ დავალება არა ინდივიდუალურ, არამედ ერთობლივ მუშაობას საჭიროებს;
- ყურადღება მიაქციეთ ჯგუფის შიდა მართვასა და როლების სამართლიან განაწილებას;
- მზად იყავით იმისთვის, რომ მცირე ჯგუფებში მუშაობისათვის დამახასიათებელია ხმაური;
- ჯგუფების ფორმირებისას ეცადეთ, ისინი მრავალფეროვანი გახადოთ;
- დროდადრო მიუახლოვდით და დააკვირდით თითოეული ჯგუფის მუშაობას;
- ეცადეთ, ჯგუფში მოსწავლეთა განლაგება ისეთი იყოს, რომ ყველა ერთმანეთს ხედავდეს.

▪

ჯგუფის შეფასების კრიტერიუმები:

- ✓ წევრების ჩართულობა;
- ✓ აზრთა გაზიარების უნარი;
- ✓ ინსტრუქციის მიხედვით მუშაობა;
- ✓ დროის ლიმიტის დაცვა;
- ✓ ლიდერის მიერ გუნდის მართვა;
- ✓ მიზანზე ორიენტაცია.

ჯგუფის წევრების შეფასების კრიტერიუმები:

- ✓ დავალების შესრულებისათვის საჭირო უნარების ფლობა;
- ✓ საუბარი და მოქმედება ჯგუფის სასარგებლოდ;
- ✓ თანამშრომლობის უნარი;
- ✓ მოსმენისა და კომპრომისებზე წასვლის უნარი;
- ✓ დავალების შესრულება დროულად;
- ✓ დავალების შესრულება ინსტრუქციების მიხედვით.

სიტუაციური ამოცანა

სიტუაციური ამოცანა ჯგუფური მუშაობის რთული ფორმაა. ამ დროს ჯგუფური მუშაობის წესი და სტრუქტურა იგივე რჩება, რთულდება მხოლოდ თემა, რომელიც ჯგუფს სიტუაციური ამოცანის სახით მიეცემა. სიტუაციურ ამოცანას მასწავლებელი, საჭიროებისამებრ, საკუთარი შეხედულებიდან, კლასის ინტერესებიდან გამომდინარე ირჩევს ან იგონებს. სახელმძღვანელოში ხშირად შეგხვდებათ უკვე მომზადებული სიტუაციები.

თითოეულმა ჯგუფმა უნდა გაანალიზოს შემოთავაზებული სიტუაცია, მიიღოს საერთო გადაწყვეტილება, იპოვოს გამოსავალი და შესაბამისი დასკვნა გააკეთოს, რისთვისაც ჯგუფმა შეთანხმებულად უნდა იმუშაოს და კონსენსუსს მიაღწიოს.

თუ ჯგუფის წევრებს შეთანხმება უჭირთ, მასწავლებელმა შეიძლება მათ კენჭისყრის წესის ხერხი შესთავაზოს:

4-5 კაციანი ჯგუფის ყველა წევრი თითო ხმის უფლებით სარგებლობს. წინადადება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს, ჯგუფურ გადაწყვეტილებად ჩაითვლება. შესაძლებელია გადაწყვეტილების მიღება მოხდეს გამსვლელი ხმების წინასწარ დადგენილი რაოდენობით (ორი მესამედი).

კონკურსი შეთანხმების ის ფორმაა, როცა გადაწყვეტილების მიღებისას ყველა ერთსულოვანია. იგი დემოკრატიული პროცესია.

გონებრივი იერიში

გონებრივი იერიში დროის მცირე მონაკვეთში დიდი რაოდენობის იდეების გენერაციის საშუალებას იძლევა. იგი ტარდება დამოუკიდებლად ან წარმოადგენს სხვა სავარჯიშოს ნაწილს. ამ მეთოდის გამოყენება თითოეული მოსწავლისაგან ინდივიდუალურ აქტივობას მოითხოვს და საერთო პრობლემის ერთობლივად გადაწყვეტას განაპირობებს.

მასწავლებელი წინასწარ შეარჩევს თემას და შეკითხვის სახით ჩამოაყალიბებს მას. შეკითხვა მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული და მოსწავლეთათვის გასაგები ფორმით მიწოდებული.

ამის შემდეგ მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს და გვთავაზობენ პრობლემის გადაწყვეტის გზებს. იდეების გენერაციის დროს სასურველია დავიცვათ შემდეგი პრინციპები:

1. მოსწავლეთა მიერ მოსაზრების გამოთქმის დროს დაუშვებელია კამათი, კრიტიკა ან

შეფასება. უნდა ვიმუშაოთ პრინციპით: ყველა მოსაზრება ღირებულია.

2. აზრის გამოთქმა ნებაყოფლობითი და თავისუფალია. მოსწავლეებმა უნდა გამოთქვან მოსაზრებები, როცა თავად მოისურვებენ და არა მაშინ, როცა ამას მასწავლებელი მოითხოვს, იდეა შეიძლება იყოს როგორც ორიგინალური, ისე სხვისი იდეის განვითარების შედეგი.

3. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია იდეების რაოდენობა და არა ხარისხი. ხარისხზე მსჯელობა უნდა მოხდეს გენერაციის ეტაპის დასრულების შემდეგ (შეფასების ეტაპი).

4. ყველა იდეა უნდა დაინეროს დაფაზე ან დიდ ქაღალდზე (მათ შორის ყველაზე მიუღებელიც კი).

5. შეფასების წინ მოსწავლეებს უნდა ჰქონდეს დაფიქრების საშუალება.

6. იდეების გენერაციის პერიოდის ხანგრძლივობა დამოკიდებულია გაკვეთილის მსვლელობაზე, თუმცა მასწავლებელმა შეიძლება წინასწარ განსაზღვროს იგი (რეკომენდირებულია 20-დან 30-ნთ-მდე).

ვასწავლოთ ერთმანეთს

მეთოდი – „ვასწავლოთ ერთმანეთს“ – გამოიყენება ახალი თემის ან ფაქტების შესწავლისას, ან უკვე შესწავლილი თემის ძირითადი დებულებების გაცნობისას. ამ მეთოდის გამოყენებისას მონაწილეებს ეძლევათ საშუალება, აქტიური მონაწილეობა მიიღონ სწავლების პროცესში და თანაკლასელებს გაუზიარონ ცოდნა, შეისწავლონ გაკვეთილისა და თემის ძირითადი დებულებები.

1. მოამზადეთ ბარათები, რომლებზეც მოცემული იქნება შესასწავლი ფაქტები ან დებულებები;

2. დაურიგეთ ბარათები მოსწავლეებს;

3. რამდენიმე წუთის განმავლობაში თითოეულმა მოსწავლემ უნდა წაიკითხოს ბარათზე მოცემული ინფორმაცია. მასწავლებელმა უნდა შეამოწმოს, გაიგეს თუ არა მოსწავლეებმა მოცემული ინფორმაცია;

4. მოსწავლეები თავისუფლად უნდა გადაადგილდნენ საკლასო ოთახში და გაეცნონ ერთმანეთის ბარათებზე არსებულ ინფორმაციას; თამაშის თითოეულ მონაწილეს ეკრძალება, ერთდროულად ესაუბროს რამდენიმე თანაკლასელს;

5. თამაში დასრულდება მაშინ, როდესაც ყველა მოსწავლე გაცვლის ინფორმაციას;

6. თამაშის დამთავრების შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს ისაუბრონ იმის შესახებ, თუ რა ცოდნა მიიღეს თამაშის შედეგად. მასწავლებელს შეუძლია, პასუხები დაწეროს დაფაზე.

დაუსრულებელი ისტორია

დაუსრულებელი ისტორია ჯგუფური სამუშაოს ერთ-ერთი საიტერესო ფორმაა, რომელიც საუკეთესოა მოსწავლის ფანტაზიისა და შემოქმედებითი აზროვნების გასავითარებლად. იგი ჯგუფური სამუშაოსთვის დამახასიათებელი ყველა უნარ-ჩვევის გამოყენებას მოითხოვს.

ჯგუფები ყურადღებით ისმენენ მასწავლებლის მიერ შემოთავაზებულ ამბავს, რომლის დასასრულებლად 5-15 წთ ეძლევათ.

ეს საკმაოდ რთული პროცესია, რომლის დროსაც ჯგუფის წევრები მსჯელობენ, აზროვნებენ, გამოთქვამენ და ასაბუთებენ საკუთარ აზრს და იზიარებენ ერთმანეთის მოსაზრებებს, თანხმდებიან და ერთად იგონებენ ამბის დასასრულს. შემდეგ წერილობით აყალიბებენ უკვე შეთანხმებულ დასასრულს. შესაძლებელია ნამუშევარი ილუსტრაციით გააფორმონ, რათა იგი პრეზენტაციისათვის უფრო საინტერესო გახდეს.

ლოგიკური ჯაჭვი (მოსაზრება, მიზეზი, მაგალითი, შეჯამება)

ლოგიკური ჯაჭვის მეთოდი გამოიყენება დისკუსიის ან პრობლემებზე მსჯელობისას, როცა არსებობს განსხვავებული პოზიციები. არსებობისას. ეს მეთოდი ხელს უწყობს მოსწავლეებს, მიეჩვიონ მოსაზრებათა არგუმენტირებას და მათ მოკლედ, ლაკონურად წარმოჩინას.

1. დაფაზე დაწერეთ „ლოგიკური ჯაჭვის“ 4 ეტაპი:

- 1) გამოთქვით მოსაზრება (შეხედულება);
- 2) დაასახელეთ თქვენი შეხედულების ერთ-ერთი საფუძველი;
- 3) მოიტანეთ მაგალითი მიზეზის განმარტებისთვის;
- 4) შეაჯამეთ წამოყენებული მოსაზრება.

2. განმარტეთ ეტაპები და პასუხი გაეცით მოსწავლეთა შეკითხვებს. თითოეული ეტაპის განმარტებისთვის მოიტანეთ შესაბამისი მაგალითი. ახსნისთვის შესაძლოა გამოიყენოთ შემდეგი ფორმულა:

- მოსაზრება — მე საგზაო მოძრაობის წესების დამცველი ვარ; მიზეზი
- საგზაო მოძრაობის წესების დაცვა ქუჩაში/გზაზე უსაფრთხო გადაადგილებას ნიშნავს როგორც ქვეითებისა და მგზავრებისათვის, ისე - მძღოლებისათვის;
- მაგალითი — კვლევების შედეგად დადგინდა, რომ საქართველოში ყოველი მეხუთე ავტომობილი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილეა; დადგინდა ისიც, რომ მოზარდების უყურადღებობისა და უდისციპლინობის გამო ხშირია მათ შორის ტრავმატიზმი;
- შეჯამება — ამიტომ საგზაო მოძრაობის წესების დამცველი ვარ;
- მოხალისეებს შესთავაზეთ, სცადონ ამ ფორმულების (ეტაპების) გამოყენება მათთვის სასურველი თემისათვის;
- შეამონმეთ, სწორად გაიგეს თუ არა მოსწავლეებმა ეტაპები და რამდენად მართებულად იყენებენ მათ;
- შესაძლებელია, მოსწავლეებმა რამდენიმე მიზეზი ან მაგალითი დაასახელონ;
- მას შემდეგ, რაც დარწმუნდებით, რომ მოსწავლეებმა ეს მეთოდი აითვისეს, დაიწყეთ მისი გამოყენება თქვენი გაკვეთილის თემასთან დაკავშირებით.

სიუჟეტური თამაში (მინი-სპექტაკლი)

სიუჟეტური თამაში მოსწავლის (ან მასწავლებლის) მიერ შექმნილი პატარა იმპროვიზებული წარმოდგენაა, რომლის მიზანია კონკრეტული სიტუაციისა და ამბის გაცოცხლება. იგი საშუალებას იძლევა უკეთ წარმოვიდგინოთ, გავიზიაროთ და გავაანალიზოთ მოცემული ამოცანა.

სავარჯიშოებისთვის მასწავლებელი შეარჩევს რეალური ცხოვრებიდან აღებულ ამბავს. შესაძლებელია მასწავლებელმა ან მოსწავლეებმა თავად მოიფიქრონ ისტორია საჭირო თემაზე და გაითამაშონ იგი.

მასწავლებელი თვალს ადევნებს როლების განაწილებას და მოქმედების განვითარებას. მოსწავლეები შემოქმედებითად უნდა მიუდგნენ თავიანთ როლებს, რაც იმის გარანტიას, რომ ისინი კრიტიკულად განეწყობიან როგორც საკუთარი პერსონაჟის, ისე სხვა მოქმედი გმირების მიმართ. ბუნებრივია, მათ გაუჩნდებათ შეკითხვები, რომლებზედაც ძნელია ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა. იმართება დისკუსია, რომლის დროსაც მოსწავლეები აქტიურად განიხილავენ და მსჯელობენ აღებული თემის ირგვლივ. არ უნდა დავუშვათ, შეიქმნას ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ყველა შეკითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემა შეიძლებოდეს. სულაც არ არის აუცილებელი გამოთქმული აზრი გაზიარებულ იქნეს ყველა მოქმედი გმირის მიერ. შეთანხმება არ უნდა იქცეს თვითმიზნად და არ უნდა ვეცადოთ მის ხელოვნურად მიღწევას.

საკითხი, რომელზედაც შეთანხმება ძნელია, შეიძლება ღიად დარჩეს.

სიტუაციის მოდელირება

სიტუაციის მოდელირება შეიძლება განვიხილოთ, როგორც როლებით თამაში, რომელშიც უკლებლივ მთელი კლასი მონაწილეობს. ის საშუალებას იძლევა მოსწავლეებმა საკუთარი შესაძლებლობები „ექსტრემალურ“ სიტუაციებში გამოსცადონ.

სიტუაციის მოდელირება მონაწილეთაგან დიდ ძალისხმევასა და მონდომებას მოითხოვს, ამიტომ იგი მეტად შთამბეჭდავია და დიდ ზემოქმედებას ახდენს მის მონაწილეებზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოდელირების შემდგომი ანალიზი. „მსახიობებმა“ უნდა იმსჯელონ საკუთარ გრძნობებზე (რატომ გადაწყვიტეს ემოქმედათ ამგვარად, რამდენად მისაღებია მათთვის პრობლემის ამგვარი გადაწყვეტა).

მასწავლებელი ამ შემთხვევაში უნდა დაეხმაროს მათ, რათა მონაწილეებმა შეძლონ განცდილი რეალობასთან დააკავშირონ.

წრე

ეს მეთოდი მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, თანაბრად მიიღონ მონაწილეობა დისკუსიაში. იგი განსაკუთრებით ეფექტურია, თუ საკითხები მცირე ჯგუფებში იხილება და შემდეგ თითოეული ჯგუფის წარმომადგენელი შედეგს უზიარებს მთელ კლასს.

მცირე ჯგუფებში მუშაობის დასრულების შემდეგ სთხოვეთ თითოეულ ჯგუფს, თანმიმდევრობით წარმოადგინონ მათ მიერ განხილული ერთი იდეა და გააგრძელებთ წრიული მუშაობა, სანამ არ ამოინურება ყველა იდეა (ინფორმაცია).

განხორციელების შესაძლებელი გზები:

- ✓ ჯგუფები თანმიმდევრობით წარმოადგენენ თითო იდეას, სანამ ყველა ჯგუფი არ იქნება გამოკითხული.
- ✓ შესაძლოა, ყველა ჯგუფმა საკუთარი მოსაზრება დაწეროს ბარათზე. ყველა ბარათის შეგროვების შემდეგ მასწავლებელი კითხულობს მათ ხმამაღლა, რის შემდეგაც იმართება დისკუსია.

საკლასო დისკუსია

ინტერაქტიული მეთოდის ერთ-ერთ ეფექტურ ხერხს წარმოადგენს საკლასო დისკუსია. იგი ხელს უწყობს ისეთი მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, როგორცაა: აქტიური მოსმენა, საკუთარი აზრის გამოთქმა და არგუმენტაცია, მსჯელობა, სხვისი მოსმენა-გათვალისწინება, განსაზღვრული აზრის გაზიარების უნარი.

დისკუსიის წარმატებით ჩატარებისთვის საჭიროა კლასში იყოს ნდობის ურთიერთპატივისცემის ატმოსფერო, სადაც პირველ ყოვლისა, მასწავლებელი უნდა იყოს მისაბაძი მაგალითი.

დისკუსიის სწორი წარმართვისათვის საჭიროა კლასში იყოს ნდობის დარეგულირება, დისკუსიის მონაწილენი უნდა იცავდნენ წესებს, რომლებსაც მასწავლებლებთან ერთად თავად ჩამოაყალიბებენ. წესების ჩამონათვალი შეიძლება ამგვარი იყოს:

1. როცა ერთი ლაპარაკობს, სხვები უსმენენ;
2. აინიე ხელი, როცა რაიმეს თქმა გსურს;
3. სიტყვა არ გააანწყვეტინო სხვას;
4. როცა სხვა ლაპარაკობს, არ უნდა გაიცინო. გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი ხუმრობს;
5. კამათში ყველა მონაწილეობს;
6. და სხვა წესები (რასაც კლასი დამატებით შემოგთავაზებთ).

დისკუსიის შეფასების კრიტერიუმები:

- დისკუსიაში ჩართულობა;
- მობილიზება;
- სხვების დარწმუნების უნარი;
- პრობლემის გადაჭრაზე ორიენტაცია;
- კრიტიკული აზროვნების უნარი.

დებატი

დებატები – დისკუსიის ერთ-ერთი ფორმაა და აგებულია მონაწილეთა წინასწარ დაგეგმილ გამოსვლებზე. წარმომადგენლები არჩეულნი უნდა იყვნენ ჯგუფიდან. კამათი იწყება ორი დაპირისპირებული მხარის თითო წარმომადგენლის გამოსვლით. შემდეგ ტრიბუნა ეთმობა თითოეული მხარის სხვა მონაწილეებსაც შეკითხვებისა და კომენტარებისთვის. მასწავლებელმა თითოეული გამომსვლელისთვის უნდა დაადგინოს განსაზღვრული დრო.

დებატების შეფასების კრიტერიუმები:

- დებატების თემის დაცვა და თანამიმდევრულობა;
- მობილიზება;
- მსჯელობა არგუმენტებითა და მაგალითებით;
- დროის ლიმიტის დაცვა.

შეფასება

საგნის „მე და საზოგადოება“ სწავლა-სწავლებისას გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, ვინაიდან ამ კლასებში არ ხდება ქულების/ნიშნების დაწერა.

საკლასო შეფასების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

- ა) აჩვენოს, როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მესხიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება;
- ბ) ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები;
- გ) გამოავლინოს, რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს მოსწავლე კონკრეტული სასწავლო მიზნის მისაღწევად;
- დ) მოიცვას სამივე კატეგორიის ცოდნა;
- ე) აჩვენოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა კომპლექსურად გამოყენებას.

მიმდინარე (საშინაო და საკლასო) დავალებათა კომპონენტები:

საგნის „მე და საზოგადოება“ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლე შემდეგი ტიპური აქტივობებით უნდა შეფასდეს:

- 1. ტესტური დავალება;**
2. დიაგრამების, **სკალების** (დროის სკალა) შექმნა;
3. ინფორმაციის, ფოტომასალის **მოძიება და პრეზენტაციის** მომზადება, გამოფენის მოწყობა;
4. მოთხრობის, ანიმაციური/მხატვრული/დოკუმენტური ფილმის, ვიდეორგოლის, მუსიკალური კლიპის, ყოფითი შემთხვევის, ლიტერატურული ნაწარმოების, წყაროს **განხილვა**.
5. **შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა** (პლაკატის, ნახატის, კომიქსის, ფლაერის, ესეს, მოთხრობის, ბუკლეტის, კედლის გაზეთის, მაკეტის, ემბლემის, ვიდეორგოლის, ფოტოალბომის, ფოტოკოლაჟის (დროის სკალის გამოყენებით), სლოგანის, შექმნა);
6. **დოკუმენტების** (საკლასო „კონსტიტუცია“, დღის რეჟიმი“ პეტიციის და სხვა) შექმნა;
7. **კვლევითი პროექტი** (გამოკითხვა, ინტერვიუ, რეპორტაჟი და სხვა);
8. საქველმოქმედო, საგანმანათლებლო, სოციალური პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული **პროექტების** დაგეგმვა და განხორციელება;
9. **ექსკურსია;**
10. **დისკუსია** (დებატი, თოქ-შოუ);
11. **როლური თამაში** (საჯარო სტრუქტურის იმიტაცია, სიმულაციური სასამართლო და სხვა).

შემაჯამებელი დავალებების კომპონენტი

შემაჯამებელი დავალების კომპონენტი უკავშირდება სწავლა-სწავლების შედეგს. ამ კომპონენტში უნდა შეფასდეს ერთი სასწავლო მონაკვეთის (თემა, თავი, პარაგრაფი, საკითხი) შესწავლა-დამუშავების შედეგად მიღწეული შედეგები. კონკრეტული სასწავლო ერთეულის დასრულებისას მოსწავლემ უნდა შეძლოს საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების წარმოჩენა. შესაბამისად, შემაჯამებელი დავალებები უნდა ამონმებდეს საგნის სტანდარტებით განსაზღვრულ შედეგებს.

შემაჯამებელ დავალებათა ტიპები:

სტანდარტის მოთხოვნათა დასაფარად, რეკომენდებულია შემაჯამებელ დავალებათა მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება. საზოგადოებრივი მეცნიერებების შემაჯამებელ დავალებათა ტიპები შეიძლება იყოს:

1. ინფორმაციის, ფოტომასალის **მოძიება და პრეზენტაციის** მომზადება, გამოფენის მოწყობა;
2. მოთხრობის, ანიმაციური/მხატვრული/დოკუმენტური ფილმის, ვიდეორგოლის, მუსიკალური კლიპის, ყოფილი შემთხვევის, ლიტერატურული ნაწარმოების, წყაროს **განხილვა**.
3. **შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა** (პლაკატის, ნახატის, კომიქსის, ფლაერის, ესეს, მოთხრობის, ბუკლეტის, კედლის გაზეთის, მაკეტის, ემბლემის, ვიდეორგოლის, ფოტოალბომის, ფოტოკოლაჟის (დროის სკალის გამოყენებით), სლოგანის შექმნა);
4. **კვლევითი პროექტი** (გამოკითხვა, ინტერვიუ, რეპორტაჟი და სხვა);
5. საქველმოქმედო, საგანმანათლებლო, სოციალური პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული **პროექტების** დაგეგმვა და განხორციელება;
6. **ექსკურსია**;
7. **დისკუსია** (დებატი, თოქ-შოუ);
8. **როლური თამაში**.

მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემაჯამებელი დავალება

- დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს თავისი შეფასების ზოგადი რუბრიკა (თუ რეცეფციული (კითხვა, მოსმენა) დავალებაა, მაშინ შეფასების სქემა უნდა ახლდეს თითოეულ ტესტურ კითხვას);
- ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- მითითებული უნდა იყოს სტანდარტის ის შედეგები, რომელთა შემონახვასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება.

განმავითარებელ შეფასებას (რომელიც თავის თავში მოიცავს **თვითშეფასებასაც**) მასწავლებელი იყენებს სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად., მოსწავლის განვითარების უზრუნველსაყოფად. ეს სწავლების პროცესის მიმდინარეობისას მიღწეულის შეფასებაა, მაგალითად, რაიმე თემის/ტექსტის შესწავლის პროცესი, საშინაო დავალების, პროექტის რომელიმე ეტაპის ან გაკვეთილზე ჩართულობის შეფასება. ამგვარი შეფასებისას მოსწავლე მასწავლებლისგან იღებს ისეთ ინფორმაციას, რომელიც მას განვითარებასა და საკუთარი სწავლის გაცნობიერებაში ეხმარება, ამდენად, შეფასების

ამგვარი ფორმა უფრო მეტად ურთიერთანამშრომლობითია, ვიდრე განმსაზღვრელი შეფასება, აქედან გამომდინარე, განმავითარებელი შეფასებისას მასწავლებელი ქულას არ წერს, იგი მონაფეს აძლევს რჩევას, რეკომენდაციას, უჩვენებს პრობლემათა გადაჭრის გზებს, დააფიქრებს საკუთარი აზროვნების პროცესზე და ა.შ.

თვითშეფასება და ურთიერთშეფასება მოსწავლეთა შეფასების მნიშვნელოვანი კომპონენტია. მოსწავლეებმა შეიძლება შეაფასონ საკუთარი თავიცა და თანატოლიც. თვითშეფასება მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლია მოსწავლეს თვალი ადევნოს საკუთარ პროგრესს. შეფასების ამ ფორმის ხშირად გამოყენება მოსწავლეს საკუთარი ცოდნის ობიექტურ შეფასებას ასწავლის და დამოუკიდებლად სწავლისა და თვითკრიტიკის უნარს უვითარებს. იგი მეტად მნიშვნელოვანია მასწავლებლისთვისაც, რომელიც მეტ ინფორმაციას აგროვებს მონაფეების შესახებ და უფრო მეტად შეუძლია დაეხმაროს მათ.

განმავითარებელი შეფასების მეთოდები

მასწავლებლის დაკვირვება – ჩანაწერები, კომენტარები მოსწავლის მიღწევების შესახებ. გამოიყენება სწავლების ყოველ ეტაპზე: კითხვებზე პასუხისას, დაფასთან მუშაობისას, ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობისას, საკლასო წერისას...

კომენტარი – ინფორმაცია, რომელსაც მასწავლებელი მოსწავლეს აწვდის მისი კონკრეტული პასუხისა თუ კონკრეტული დავალების შესრულებისას. ეს შეიძლება იყოს: ქება, გამხნეება, რჩევა, დაფიქრებისკენ მოწოდება, შეცდომის გასწორება.

თვითშეფასების სხვადასხვა ფორმა არსებობს, ყველაზე გავრცელებული თვითშეფასების სქემებია, რომელიც კონკრეტული საჭიროების მიხედვით იცვლება, იმის მიხედვით, თუ რას ვამოწმებთ: ერთ თემას, ერთ გაკვეთილს, ერთ საგარჯიშოს, ფაქტობრივ მასალას, როგორ განუვითარდათ გარკვეული უნარ-ჩვევები, წერით ნამუშევარს და სხვ. ამგვარი სქემები სასურველია მოსწავლეებთან ერთად შემუშავდეს.

წერითი ნამუშევრის თვითშეფასების ნიმუში:

სახელი, გვარი----- თარიღი -----

როდესაც გადავხედე ნამუშევარს, დავინახე, რომ -----

უმჯობესე-----

ვამაყოფ, რომ -----

კვლავ მჭირდება განმტკიცება -----

შემდგომ წერით დავალებაში შევეცდები, რომ...-----

გაკვეთილზე საკუთარი საქმიანობისა და შინაგანი, პიროვნული პროცესების თვითშეფასების ნიმუში (პირობითი ნიმუშების გამოყენებით)

- ვპასუხობდი კითხვებს და ჩემს პასუხებს მივყავდით პრობლემის გადაწყვეტამდე (პირობითი ნიმუში მზე);
- ვამატებდი და ვავითარებდი სხვების პასუხებს, ვეხმარებოდი გაკვეთილის „აგებაში“ (აგურები);
- ვპასუხობდი, მაგრამ როგორც მერე მივხვდი, არცთუ ნარმატიულად, რადგან ან სხვის პასუხს ვიმეორებდი, ანდა სწორ გზას ვცდებოდი. (ჩაშვებული ღუზა);
- ყველაფერი ვიცოდი და მესმოდა, მაგრამ ვდუმდი (სანამ რამეს ვიტყოდი, სხვები მასწრებდნენ; ვშიშობდი, არასწორად არ მეპასუხა, დაე, სხვებმა იმუშაონ) (დაკეცილი კონვერტი).
- ვდუმდი, რადგან არ ვიცოდი რა მეთქვა, მაგრამ ყურადღებით ვუსმენდი სხვებს (მოცინარი კაცუნა, რომლის ყურებისკენ მიმართულია ისრები).
- მეძინა, ბუზებს ვითვლიდი, ვოცნებობდი (ნეტა, რაზე?), ვფიქრობდი, ვინერდი საშინაო დავალებას (ღრუბლები).

ამგვარად, მოწაფე აფასებს საკუთარ აქტივობას, საკუთარ წვლილს გაკვეთილზე ამათუ იმ პრობლემის გადაჭრის საქმეში (მასწავლებელმა ყოველთვის არ იცის, რა დგას მოწაფის დუმილის უკან, ამიტომაცაა მნიშვნელოვანი, რას აირჩევს მოსწავლე: „ვიცოდი და ვდუმდი“, თუ „არ ვიცოდი და ვდუმდი“). მასწავლებელი დროდადრო კრეფს თვითშეფასების ფურცლებს და არშიებზე აკეთებს საკუთარ შენიშვნებს (ძალიან კორექტული და არაკატეგორიული ტონით) მაშინაც, როცა მოსწავლე გადაჭარბებით აფასებს საკუთარ თავს და მაშინაც, როდესაც იგი დაბალ თვითშეფასებას ამჟღავნებს (ამგვარ თვითშეფასებაში არის რისკი იმისა, რომ მოწაფემ იეშმაკოს, არაადეკვატურად შეაფასოს საკუთარი თავი, მაგრამ ამგვარი რისკი მაინც გამართლებულია, რადგან ბევრი ბავშვისთვის იგი სტიმულია, რათა მიაღწიოს იმ სასურველ შედეგს, რომელიც ამ ეტაპისთვის მისთვის დაუძლეველი აღმოჩნდა).

მოსწავლე შესაძლებელია შეფასდეს შემდეგი **საგნის შესწავლის სხვადასხვა კომპონენტების** მიხედვით:

- ა) გაკვეთილზე ჩართულობა;
- ბ) საშინაო დავალებები;
- გ) მიმდინარე საკლასო დავალებები;
- დ) შემაჯამებელი დავალებები (შეამონმე შენი ცოდნა);
- ე) პროექტი;
- ვ) დამატებითი კომპონენტი, რომელიც არაუმეტეს საერთო შეფასების 10%-ია და რომელიც მოსწავლეების მიერ დგინდება (მაგ. ორგანიზებულიობა, შემოქმედებითობა, ჯგუფში ეფექტური მუშაობა და სხვა).

რეკომენდაცია: შეფასებისას თქვენი შეხედულებისამებრ გამოიყენეთ განმავითარებელი შეფასებები.

პრეზენტაციის შეფასება

ნიმუში

სიტუაციური ამოცანის შეფასება

კრიტერიუმი				
ამოცანაში მოცემული პრობლემის გადაჭრა	ვერ პოულობს პრობლემის გადაჭრის რომელიმე გზას; ან შეთავაზებული სავარაუდო პასუხებიდან ირჩევს არასწორს და პასუხს არ ასაბუთებს. ან ვერ პოულობს ამოცანის ამოხსნის რომელიმე გზას.	ინყებს პრობლემის გადაჭრის გზებზე საუბარს, მაგრამ ვერ ასაბუთებს; ან შეთავაზებული სავარაუდო პასუხებიდან ირჩევს სწორს, მაგრამ არ ასაბუთებს; ან პოულობს ამოხსნის რომელიმე გზას, ინყებს, მაგრამ ვერ ასრულებს ამოხსნას.	ირჩევს პრობლემის გადაჭრის გზას, მიჰყვება მას, მაგრამ ხარვეზებით, ან შეთავაზებული სავარაუდო პასუხებიდან ირჩევს სწორს და ნაწილობრივ ასაბუთებს. ანდა პოულობს ამოცანის ამოხსნის გზას, მიჰყვება მას, თუმცა ხარვეზით.	პოულობს პრობლემის გადაჭრის ოპტიმალურ გზას და მას ასაბუთებს; ან ირჩევს სწორ პასუხს და ასაბუთებს სრულყოფილად. ანდა პოულობს ამოცანის ამოხსნის (ოპტიმალურ) გზას, ბოლომდე ახდენს მის რეალიზებას.

ჩაი შემოქმედება

შეფასების ერთ-ერთი ფორმაა მცირე თხზულება.

თხზულებას გააჩნია თემა და/ან შედგება რამდენიმე სახელმძღვანელო კითხვისაგან. მათ საფუძველზე თითოეულ მოსწავლეს ევალება დაწეროს თავისი მოსაზრება, შეფასება, პატარა ამბავი, ისტორია. თხზულებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან მასში მოსწავლეს შეუძლია იყოს შემოქმედებითი, თავისუფალი, გამოხატოს ცოდნა, აზროვნების უნარი, პიროვნული მომენტები და სხვა. მისი საშუალებით ფასდება მოსწავლის ორგანიზების და ინტეგრირების პარალელების გავლების, პრობლემებზე მსჯელობის, პირადი დამოკიდებულების გამოხატვის, დასკვნების გაკეთების, შეფასების უნარი.

მეოთხეკლასელი ბავშვების უმრავლესობა სიამოვნებით გადმოსცემს მოსაზრებებს ნახატებით. ნასწავლი მასალის ათვისებისა და ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელოვანია მოსწავლეთა შემოქმედებითი მხარის აღნიშვნა: საკლასო ოთახში თემატური გამოფენების მოწყობა. ნახატების შეფასებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ნახატის გააზრებასა და შინაარსზე (რადგან ხატვა, შესაძლოა, ყველა მოსწავლეს ერთნაირად კარგად არ ეხერხებოდეს).

მოსწავლის ცოდნის შეფასებაში უნდა იხელმძღვანელოთ არა იმით, როგორ „დაისწავ-

ლა“ გაკვეთილი, არამედ იმით, როგორ, რამდენად გაიგო დასმული ამოცანა. ამის გარკვევაში კი პარაგრაფის ბოლოს დასმულ კითხვებზე გაცემული პასუხები და სა- ვარჯიშოების შეასრულების ხარისხი დაგეხმარებათ.

საგანი „მე და საზოგადოება“ ემსახურება სამოქალაქო უნარ-ჩვევების ელემენტების ჩამო- ყალიბების მცდელობას, რაც გულისხმობს არა დასწავლას, არამედ გააზრებას, რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირებას და პრაქტიკულ გამოყენებას.

ცხადია, დიდი იქნება ცდუნება „აჯობოთ“ სახელმძღვანელოს რიგი საკითხების ცოდნაში, მაგრამ თუ მას დაეყრდნობით, სასურველია არ გადააჭარბოთ.

მასწავლებლის გზამკვლევი

გზამკვლევი მიზნად ისახავს პედაგოგებს დაეხმაროს საგნის „მე და საზოგადოება“ სწავლა-სწავლებაში. იგი ორი ნაწილისგან შედგება:

1) ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები – აქ ახსნილია, რა ევალუა პედაგოგს საგნის „მე და საზოგადოება“ სტანდარტის მიხედვით.

2) წლიური პროგრამა – აქ, ოთხსვეტიანი დიზაინის გამოყენებით, დეტალურადაა ნაჩვენები ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების საკლასო ოთახში რეალიზების ერთ-ერთი სარეკომენდაციო გზა.

1. ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები

საგანი „მე და საზოგადოება“ მე-4 კლასში სამ სავალდებულო სასწავლო თემას მოიცავს:

1. სად და როგორ ვიღებ განათლებას?
2. მედია და ინფორმაცია;
3. მე და ჩემი ქვეყანა.

რის საფუძველზეა ჩამოყალიბებული სტანდარტში სავალდებულო ცნებები და შედე- გები?

სასწავლო პროცესის მსვლელობისას აღნიშნული თემებს უნდა დაუკავშირდეს სავალ- დებულო ცნებები და შედეგები, რომლების დამუშავებაც საგნის „მე და საზოგადოება“ მიზანს წარმოადგენს. სხვაგვარად რომ ვთქვათ ზემოჩამოთვლილი სამი თემა კონტე- ქსტებს ქმნის დასახული მიზნების მისაღწევად.

რა მიზნებს ისახავს საგნის „მე და საზოგადოება“ სწავლა-სწავლება? რის საფუძველზეა ჩამოყალიბებული სტანდარტში სავალდებულო ცნებები და შედეგები?

საგნის „მე და საზოგადოება“ სწავლა-სწავლება მიზნად ისახავს, მოსწავლეს ჩამოუყ- ალიბოს პასუხისმგებლობა და მზრუნველი დამოკიდებულება საკუთარი თავის, ოჯახ-

ის, თემის, ბუნებრივი გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის მიმართ (მიზნების ჩამონათვალი იხ. ზემოთ – გვ. 4).

სტანდარტის შედეგები უშუალოდ საგნის ამ მიზნებიდან გამომდინარეობს. ისინი საგნობრივ ცნებებზე დაფუძნებით განსაზღვრავენ უფრო კონკრეტულ მიზნობრივ ორიენტირებს და პასუხობენ შეკითხვას: რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ?

სტანდარტის შედეგებიდან უშუალოდ გამომდინარეობს ცნებები, რომლების არსობრივი გააზრებაც სასწავლო პროცესში უნდა მოხდეს (ცნებების გააზრება და შედეგების დამუშავება პრაქტიკულად იდენტიური პროცესია).

ცხრილიდან ჩანს, რომ საგანი „მე და საზოგადოება“ გამოყოფილი ცნების დამუშავებას გულისხმობს. ეს ცნებები სავალდებულო სასწავლო თემებში შემდეგნაირად ნაწილდება:

თემა	დასამუშავებელი ცნებები
სად და როგორ ვიღებ განათლებას?	<p>სწავლა/სწავლება/განათლება გამოცდილება წარსული, აწმყო, მომავალი გამოცდილება ქცევის ნორმები ჩემი საკუთრება დაზოგვა პროფესია პერსპექტივა/წარმატება. კონფლიქტი პასუხისმგებლობა ზრუნვა თანაბარი უფლებები. მემკვიდრეობა ეტიკეტი (ქცევის ნორმები) მონაწილეობა გარემოს დაცვა ბავშვის უფლება და მოვალეობა ჯანსაღი ცხოვრების წესი უსაფრთხოება საგანგებო სიტუაციები პერსპექტივა/ წარმატება ბავშვის უფლება და მოვალეობა</p>

თემა	დასამუშავებელი ცნებები
მედია და ინფორმაცია	<p>ჟურნალისტი /ინფორმაციის მომპოვებელი თანამედროვე ტექნოლოგიები კომუნიკაცია სიახლე ინფორმაციის წყარო წარსული, აწმყო, მომავალი სოციალური ქსელი კონფლიქტი პასუხისმგებლობა ზრუნვა სასარგებლო/უსარგებლო ინფორმაცია მემკვიდრეობა მონაწილეობა გარემოს დაცვა ჯანსაღი ცხოვრების წესი ინტერნეტის რისკები უსაფრთხოება საგანგებო სიტუაციები რეკლამა /სოციალური რეკლამა სოციალური ქსელი</p>

თემა	დასამუშავებელი ცნებები
მე და ჩემი ქვეყანა	<p>წეს-ჩვეულება/ტრადიცია შემწყნარებლობა პატივისცემა თაობა/წინაპარი მემკვიდრეობა სიმბოლიკა ქვეყანა უფლება/მოვალეობები მოსახლეობა მოსაზრება/შეხედულება წესი/კანონი მართვა</p>

რას ნიშნავს ცნების დამუშავება? ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად, საჭიროა, ერთმანეთისგან განვასხვავოთ ცნებების ზედაპირული აღქმა და არსობრივი გააზრება. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა ზემოთ ჩამოთვლილი ცნებების სიღრმისეულ წვდომას მოითხოვს. სამისოდ, საჭიროა გამოიკვეთოს არსობრივი მახასიათებლები, რომლებიც პედაგოგს მიაწოდებს, თუ რაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება სასწავლო პროცესში.

წლიურ პროგრამაში მრავალი აქტივობაა დასახელებული (იხ. მეორე სვეტი). ამ აქტივობების განხორციელებისას აქცენტი სწორედ იმაზე უნდა გაკეთდეს, რომ მოსწავლემ კონკრეტული მაგალითებისა და კონტრმაგალითების საფუძველზე სამიზნე ცნებების ზემოჩამოთვლილი მახასიათებლები გაიაზროს. იგივე მახასიათებლები უნდა იქცეს შეფასების რუბრიკების კრიტერიუმებად (იხ. დანართი).

2. წლიური პროგრამა

როგორ, რა ხერხებით უნდა მოხდეს სავალდებულო თემების ფარგლებში სტანდარტის შედეგების მიღწევა? რა უნდა გაკეთდეს სასწავლო პროცესში საიმისოდ, რათა მოსწავლეებმა სავალდებულო ცნებები გაითავისონ და შეფასების ინდიკატორები დააკმაყოფილონ? ამ შეკითხვებზე პასუხს გზამკვლევის მეორე ნაწილი - წლიური პროგრამა იძლევა. პროგრამა ოთხსვეტიან დიზაინშია დამუშავებული.

განმარტებები

1. მიზნები

პირველ სვეტში საკვანძო ცნებებისა და შეკითხვების სახით ჩამოყალიბებულია გაკვეთილის/გაკვეთილების მიზნები (გაკვეთილის მიზნად შემოთავაზებულ შეკითხვაზე დაფიქრება და ცნების გათავისება იქცევა). სწავლა-სწავლების პროცესში ამ შეკითხვებსა და ცნებებზე მუშაობა სტანდარტის შედეგების საკლასო ოთახში რეალიზაციას ნიშნავს.

2. აქტივობები

მეორე სვეტში მოცემულია გაკვეთილის აქტივობების იდეები, რომლებიც მოსწავლეს უნდა დაეხმაროს პირველი სვეტის კითხვების გააქტიურებასა და ცნებების გათავისებაში.

3. რესურსები

მესამე სვეტში მოცემულია ყველა ის რესურსი (ნაწარმოების ტექსტი, საინფორმაციო ტექსტი, ვიდეორგოლის ლინკი და ა.შ.), რომელიც მეორე სვეტში შემოთავაზებული აქტივობის განსახორციელებლად არის საჭირო.

აქვე მოცემულია საკითხავი მასალა (ჰიპერლინკების სახით), რომელიც მასწავლებელს საკვანძო ცნებებისა და თემების არსის გააზრებაში დაეხმარება.

4. შეფასება

მეოთხე სვეტში მოცემულია რჩევები მოსწავლეების შესაფასებლად პირველ სვეტში წარმოდგენილ მიზნებთან მიმართებით. დანართში, ასევე, წარმოდგენილია დავალების პირობები და შეფასების რუბრიკები, რომელიც პედაგოგს განმავითარებელი შეფასების წარმოებაში დაეხმარება.

რეკომენდაცია: (ეს რეკომენდაცია მეორდება, ყურადღების გამახვილების მიზნით). ახალი საგნის სწავლების პირველ წელს, აჯობებს მეოთხეკლასელებსთვის რამდენიმე საათი დაუთმოთ წინა წლის საკვანძო საკითხების გაცნობას, ან გაკვეთილის ჩატარებამდე გააცნოთ მოსწავლეებს შესაბამისი წინა მასალა.

მომდევნო წლებში კი იგივე შეიძლება გაკეთდეს წინარე ცოდნის გამეორების მიზნით.

გზამკვლევი ეხმარება მასწავლებელს აქცენტების ხაზგასმაში და მთელი სასწავლო პროცესის კომპლექსურად აღქმაში. ამიტომ სახელმძღვანელოში და რვეულში გადმოცემული აქტივობები თავისთავად იგულისხმება და აქ სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი.

იმის თვალსაჩინოდ, რომ გაკვეთილებზე გამოყენებულია მრავალფეროვანი მეთოდური მიდგომა, საკლასო აქტივობების სახეები **გამუქებულია**.

თემა: სად და როგორ ვიღებ განათლებას?

მიზანი	აქტივობები	რესურსი	შეფასება
<p>ცნებები, საკვანძო შეკითხვები</p>	<p>იდებები საკლასო აქტივობებისთვის</p>	<p>აქტივობების განსახორციელებლად საჭირო მასალა + დამატებითი საკითხავი რესურსები პედაგოგებისთვის</p>	<p>დავალების ტიპი შეფასების რუბრიკა</p>
<p>საკვანძო შეკითხვები: რა მნიშვნელობა აქვს განათლებას ჩემი მომავალი ცხოვრებისთვის? რა შედეგები მოაქვს შრომას და რატომ არის შრომა მიზნის მიღწევის საუკეთესო საშუალება? რა მიზნით და როგორ ვგეგმავთ სხვადასხვა დონისძიებას?</p>	<p>დისკუსია: ილია ჭავჭავაძის მოსაზრებები განათლების შესახებ - განხილვა. როლური თამაში. როლების შეცვლა: ერთ-ერთი მოსწავლე მასწავლებლის როლში გაკვეთილს უტარებს თანაკლასელებს და უხსნის მათ, თუ რა მნიშვნელობა აქვს განათლებას მომავალი ცხოვრებისთვის.</p>	<p>მოსწავლის წიგნი, I ნაწილი, გვერდი 5.</p>	<p>ჯგუფური პროექტი: „გაგამდიდროთ ჩვენი სკოლის ბიბლიოთეკა“. მოსწავლეები დახატავენ წიგნის ყდას, რომელიც ბიბლიოთეკას გადაეცა. რეგული, I ნაწილი, გვ. 10. <i>იხ. დანართი 1, შეფასების რუბრიკა 1.</i></p>
<p>ცნებები: სწავლა/სწავლება/განათლება, გამოცდილება, კცევის</p>	<p>ი. გოგებაშვილის მოთხრობა „თხა და გიგო“, განხილვა. ამ შემთხვევაში წიგნის კითხვა განიხილება, როგორც შრომა. შრომა კი - წარმატების მიღწევის გზა. დასკვნა: თუ იცუდლუტებს, პირველ რიგში, მოსწავლე დაზარალებდა.</p>	<p>მოსწავლის რეგული, I ნაწილი, გვ. 8.</p>	

<p>ნორმები, ჩემი საკუთრება, პროფესია, პერსპექტივა/წარმატება.</p>	<p>„წარმატებული მოსწავლის პორტრეტის“ გაგრძელების დაწერა წყვილებში.</p> <p>„წარმატების კობის“ სქემის შევსება და შემდგომ მისი განხილვა.</p> <p>ზღაპრის „ერთი მანეთის შოვნა“ განხილვა. მოსწავლის წიგნი, I ნაწილი, გვ. 60.</p> <p>სამახსოვრო ბარათის შექმნა, სადაც ნაჩვენებები იქნება: რა უნდა ვიცოდე / რა უნდა შემემლოს ჩემი მომავალი პროფესიის დასაუფლებლად.</p> <p>ნახატის დახატვა, რომელიც მოსწავლის მომავალ პროფესიას ასახავს.</p>	<p>გამოიყენეთ პორტრეტი, მოსწავლის წიგნი, I ნაწილი, გვ. 7</p>	<p>რვეული, I ნაწილი, გვ. 4</p> <p>სამახსოვრო ბარათი. იხ. დანართი 1, შეფასების რუბრიკა 2.</p> <p>რვეული, I ნაწილი, სვარჯიშო 2, გვ. 10.</p>
<p>საკვანძო შეკითხვები:</p> <p>რატომ არ შეიძლება ბავშვის შრომის ბოროტად გამოყენება?</p> <p>რატომ არის განათლება ყველა ბავშვის უფლება?</p> <p>ცნებები: სწავლა /სწავლება/განათლება, ბავშვის უფლება და</p>	<p>ანიმაციური ფილმიდან „პინოქიო“ ნაწყვეტის განხილვა, რომელშიც უსაქმურთა კუნძულზე გადასახლებული ბავშვების თავგადასავალია წარმოდგენილი.</p> <p>ანიმაციური ფილმის „კონკიას“ ნახვა და განხილვა იმისა, თუ ვინ და როგორ არღვევს კონკიას უფლებებს.</p> <p>ყოფითი შემთხვევის განხილვა, როცა მათი რომელიმე თანატოლის შრომას არასწორად (მაგ.: მიმიე ფიზიკური შრომა, სათამაშო ან სამეცადინო დროის შეზღუდვა) იყენებენ.</p>	<p>ანიმაციური ფილმი „პინოქიო“ http://net.adjara.com/Movie/main?id=269&q=SD&s=Georgian 56:19 - 1:05</p> <p>ანიმაციური ფილმი „კონკია“ https://www.myyvideo.ge/v/3032129 18:38 - 23:31 <u>40:56 - 43:02</u></p>	<p>მოთხრობის დაწერა „პინოქიოს“ სიუჟეტის (იხ. საკლასო აქტივობა) პერსონაჟთა (უსაქმურთა კუნძულზე გადასახლებული ბავშვების) წინა რეჟისორის თავგადასავლის შესახებ; <i>შეფასების რუბრიკა 3 იხ. დანართი 1.</i></p> <p>პლაკატის მომზადება, რომელიც ბავშვთა განათლების უფლებების</p>

<p>მოვალეობა, პერსპექტივა/წარმატება.</p>	<p>დისკუსია: რატომ არის განათლება ყველა ბავშვის თანაბარი უფლება? მოსწავლის წიგნი, I ნაწილი, გვ. 11-12.</p>		<p>დაცვისკენ მოგვიწოდებს; რვეული, I ნაწილი, გვ. 6. შეფასების რუბრიკა 4 იხ. დანართი 1.</p>
<p>საკვანძო შეკითხვები: რისთვის ვკითხულობთ წიგნებს? როგორ და რატომ უნდა ვისარგებლოთ ბიბლიოთეკით? რას ვსწავლობთ და როგორ უნდა ვიქცეოდეთ თეატრში, კინოში, გამოფენასა და მუზეუმში? ცნებები: სწავლა/სწავლება/ განათლება, გამოცდილება, პერსპექტივა/ წარმატება.</p>	<p>პრეზენტაცია: წაკითხული წიგნის ან მოთხრობის შესახებ შთაბეჭდილებების თანაკვლასელებებისთვის გაზიარება. ანიმაციური ფილმის „ბომბორა სწავლას იწყებს“ განხილვა. ჯიგსოუს მეთოდი: თეატრში, კინოში, ბიბლიოთეკაში, გამოფენაზე ან მუზეუმში წასვლის წინ ქვევის წესებზე შეთანხმება და ჩამოყალიბება.</p>	<p>ანიმაციური ფილმი „ბომბორა სწავლას იწყებს“ https://www.youtube.com/watch?v=WJis0MPPdJg</p>	<p>კომიქსის სახით წიგნისა და კომპიუტერის დიალოგის შედეგა. შეფასების რუბრიკა 5 იხ. დანართი 1.</p>
<p>საკვანძო შეკითხვები: რა ინფორმაციას გვაწვდის ისტორიული ძეგლები გარემოსა და ჩვენი მხარის შესახებ?</p>	<p>გონებრივი იერიში: გაიხსენეთ, როგორ იქცეოდით თეატრში, კინოში, მუზეუმში, ბიბლიოთეკაში ყოფნისას? მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად და მოსწავლის წიგნის მასალის მიხედვით,</p>	<p>ეს აქტივობა უნდა ჩატარდეს მოსწავლის</p>	<p>მოსწავლეები ირჩევენ 2 დავალებიდან ერთ-ერთს. 1) თხზულების დაწერა, რომელშიც გადმოცემული იქნება, რომელი ისტორიული ან ბუნების ძეგლი მოინახულა ან მის შესახებ</p>

<p>რისი სწავლა შეიძლება არასაგაკვეთილო აქტივობების (მაგ. ექსკურსიაზე, მუზეუმში, საპეტაკოზე) შედეგად?</p> <p>ცნებები: სწავლა / სწავლება / განათლება, გამოცდილება, წარსული, აწმყო, მომავალი.</p>	<p>ადგენენ ქცევის წესების მოკლე ვერსიას. (აკეთებენ პრეზენტაციას).</p> <p>დიკუსია: რას ვსწავლობთ თეატრში, კინოში, მუზეუმში, ბიბლიოთეკაში, ექსკურსიაზე?</p> <p>ჯგუფური მუშაობა: კლასის დამრიგებლისათვის ისეთი წერილის მიწერა ექსკურსიაზე წასვლის თხოვნით, რომელშიც დასაბუთებული იქნება ექსკურსიის აუცილებლობა (რას ისწავლიან მოსწავლეები ამ აქტივობის შედეგად). ნამუშევრების პრეზენტაცია. შესაძლებელია მასწავლებელმა შესთავაზოს მოსწავლეებს ექსკურსიაზე წასვლა საუკეთესო წერილის/წერილების (წერილში მოთხოვნილი ადგილის) შესაბამისად.</p>	<p>წიგნიდან მე-7-10 პარაგრაფების გავლის შემდეგ.</p> <p>საქართველოს მუზეუმები http://georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=7&th_id=185</p> <p>საქართველოს ეროვნული მუზეუმი http://museum.ge/</p>	<p>წაიკითხა მოსწავლემ არდადეგებზე, რვეული, I ნაწილი, გვ. 18. შეფასების რუბრიკა 6 იხ. დანართი 1.</p> <p>ბ) რომელიმე ისტორიული ძეგლის სურათების მიმოიხილა კომპიუტერის საშუალებით და მათი პრეზენტაცია. შეფასების რუბრიკა 7 იხ. დანართი 1.</p> <p>რვეული, სვარჯიშო 2, I ნაწილი, გვ. 17.</p> <p>პროექტი: მინი-მუზეუმი სკოლაში. მოსწავლის რვეული, I ნაწილი, გვ. 12. შეფასების რუბრიკა 8 იხ. დანართი 1.</p> <p>მუზეუმში ან ექსკურსიაზე წასვლა რომელიმე ისტორიული ძეგლის სანახადად, რის შემდეგაც მოსწავლეებს დაევალებათ რაიმეს (მაგ.: ძეგლის, ნივთის, ისტორიული პიროვნების, ნახატის) შესახებ ინფორმაციის მოძიება. შეფასების რუბრიკა 9. იხ. დანართი 1.</p>
---	--	--	--

<p>საკვანძო შეკითხვები:</p> <p>რატომ არ უნდა მივითვისო სხვისი ნაშრომი (მაგ. თანაკლასელის სასკოლო დავალებას)?</p> <p>ცნებები:</p> <p>სწავლა / სწავლება / განათლება, ქცევის ნორმები, კონფლიქტი, პასუხისმგებლობა, ზრუნვა, თანაბარი უფლებები.</p>	<p>თხზულების დაწერა ექსკურსიაზე ნანახი ძეგლის ისტორიის დაწერა.</p> <p>ანიმაციური ფილმის „ველურები“ განხილვა იმ მიზნით, რამდენად ზნეობრივია იდეის მოპარვა.</p> <p>რეკომენდაცია: იდეის ქურდობის შესახებ ჩვენებისათვის, საკმარისია ანიმაციიდან პირველი 2 წუთის ნახვა.</p> <p>რეკომენდაცია: იდეის ქურდობიდან, დავალების გადაწერიდან და სხვისი ნაშრომის მითვისებდან, შესაძლებელია ისეთ სერიოზულ თემაზე მოსწავლეებთან საუბარი, როგორცაა სავტლო უფლებები. ზღაპრების წიგნიდან „მემე, გვაპოვინე!“ ერთ-ერთი ზღაპრის - „გამოფენა“ -განხილვა.</p>	<p>ანიმაციური ფილმი „ველურები“ https://www.youtube.com/watch?v=xSkilK3euH8</p> <p>ზღაპრების წიგნის „მემე, გვაპოვინე!“ ელექტრონული ვერსია განთავსებულია საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის ვებ-გვერდზე, განყოფილებაში - პუბლიკაციები“: http://www.gca.ge</p> <p>აღნიშნული წიგნი, ასევე, ხელმისაწვდომია ყველა სასკოლო ბიბლიოთეკაში.</p>	<p>თხზულების შეფასების რუბრიკა 10 იხ. დანართი 1.</p> <p>კომიქსის დახატვა, რომელიც დავალების შესრულების პროცესში სხვისი ნაშრომის მითვისების მცდელობას ასახავს. რვეული, I ნაწილი, გვ. 7. <i>შეფასების რუბრიკა 11 იხ. დანართი 1.</i></p> <p>თხზულება: საკვანძო სიტყვების (მაგ.: გადაწერა, კონფლიქტი, მოგვარება, შერიგება) გამოყენებით თხზულების დაწერა. <i>შეფასების რუბრიკა 12 იხ. დანართი 1.</i></p> <p>ოჯახის უფროსი წევრების გამოკითხვა თემაზე: იწერდნენ თუ არა სხვის ნაშრომს როცა სკოლაში სწავლობდნენ და რა შედეგები მოჰყოლია ამას? <i>იხ. დანართი 1. შეფასების რუბრიკა 13</i></p>
---	---	--	---

<p>საკვანძო შეკითხვები:</p> <p>რა ინფორმაციას გვაწვდის ისტორიული ძეგლები გარემოსა და ჩვენი მხარის შესახებ?</p> <p>ცნებები:</p> <p>სწავლა/სწავლება/განათლება, მემკვიდრეობა, ეტიკეტი (ქცევის ნორმები), პასუხისმგებლობა, ზრუნვა, მონაწილეობა, გარემოს დაცვა, ბავშვის უფლება და მოვალეობა.</p>	<p>საღამოს მოწიბა, რომელიც რომელიმე ისტორიული ან ბუნების ძეგლისადმი (მაგ.: დაცული ტერიტორია, ნაკრძალი) იქნება მიძღვნილი;</p> <p>ექსკურსია/გასვლითი გაკვეთილი</p> <p>საცხოვრებელთან შედარებით ახლოს მდებარე ნაკრძალში, დაცულ ტერიტორიაზე ან ბოტანიკურ ბაღში ბუნების დაცვის მნიშვნელობის გააზრების მიზნით.</p>	<p>დაცული ტერიტორიების სააგენტო http://apa.gov.ge</p> <p>რამ მოიყვანა საქართველო დღემდე? http://saqartvelodidia.blogspot.com/2015/12/blog-post.html</p>	<p>პლაკატის/სლოგანის შექმნა</p> <p>საცხოვრებელთან ახლოს მდებარე ისტორიული ან ბუნების ძეგლის (დაცული ტერიტორია, ნაკრძალი) დაცვის მოწოდებით. ამ პლაკატების გამოფენის მოწიბა საკლასო ოთახში/დერეფანში.</p> <p><i>იხ. დანართი 1. შეფასების რუბრიკა 14.</i></p> <p>კომპიუტერების საშუალებით ინფორმაციის მოძიება</p> <p>„თელავის ჭადარზე“ ან საცხოვრებელთან ახლოს არსებულ სხვა ემბლემურ ხეებზე/მცენარეებზე. (მაგალითად, მცხეთაში მაცვლის ბუჩქი სამთავროს მონასტერში).</p>
<p>საკვანძო შეკითხვები:</p> <p>რისი სწავლა შეიძლება არასაგაკვეთილო აქტივობების (მაგ., ექსკურსიაზე) შედეგად?</p>	<p>თამაში – „რას წავიდებდი ექსკურსიაზე“ დროის ჯანსაღად გატარების მიზნით?</p> <p>რეკომენდაცია: თამაშის დროს წრეში მსხდომმა მოსწავლეებმა ექსკურსიისთვის საჭირო ის ნივთები უნდა ჩამოთვალონ, რომელთა დასახელებაც მათი სახელის პირველ ასოზე იწყება.</p>		<p>არდადეგების შთაბეჭდილებების დაწერა (მაგალითად, მათი ჯანსაღი ცხოვრების ჭრილში) განხილვა.</p> <p><i>იხ. დანართი 1. შეფასების რუბრიკა 15.</i></p> <p>კომპიუტერების საშუალებით ჯგუფური სპორტული</p>

<p>რატომ გვკვირდება სპორტი გოგონებსაც და ბიჭებსაც, დიდებსაც და პატარებსაც?</p> <p>ცნებები:</p> <p>სწავლა/სწავლება/განათლება,</p> <p>გამოცდილება,</p> <p>ზრუნვა,</p> <p>ჯანსაღი ცხოვრების წესი.</p>	<p>პრეზენტაცია: „ზურგჩანთის მომზადება“ (მოსწავლეები დახატავენ ზურგჩანთას და იმ ნივთებს, რომლებიც საჭიროა ექსკურსიაზე /ლაშქრობაში წასაღებად). მოსწავლეები მომზადებენ ჯგუფურად სიებს და აკეთებენ პრეზენტაციებს.</p> <p>დაფაზე «ენის დიაგრამის» საშუალებით იმის წარმოდგენა, თუ რომელია ბიჭების საყვარელი თამაში და რომელი – გოგონების და რას თამაშობენ ისინი ერთად. რეკომენდაცია: მასწავლებელმა მიაქციოს ყურადღება, რომ ამ აქტივობამ ხელი არ შეუწყოს გენდერული სტერეოტიპების გამძლიერებას.</p>	<p>მოსწავლის წიგნი, I ნაწილი, გვერდი 39.</p>	<p>აქტივობების შესახებ ვიდეო-რგოლების მოძიება. მსჯელობა თემზე: რისი სწავლა შეიძლება სპორტული აქტივობების შედეგად (ჯგუფური მუშაობა, ლიდერობა, ბიჭებისა და გოგონებისთვის თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების მიცემა). რვეული, I ნაწილი, გვ. 22-23.</p> <p>სპორტის პედაგოგთან ერთად ინტეგრირებული პროექტის შესრულება: „მიყვარს სპორტი“ (იხ. დანართი). რეკომენდაცია: დაყავით კლასი 4 ჯგუფად. თითოეულმა ჯგუფმა მოამზადოს ჟურნალის ერთი გვერდი. <i>იხ. დანართი 2 და დანართი 1- შეფასების რუბრიკა 16.</i></p>
<p>საკვანძო შეკითხვები:</p> <p>როგორ ვიქცევით უსაფრთხოების წესების დაცვით ექსკურსიაზე (არ ვტოვებთ ცეცხლს, არ</p>	<p>პლაგატის შექმნა ექსკურსიაზე უსაფრთხოდ მოქცევის წესების შესახებ. წესების კლასში გამოკვრა; იდეას კმნის მთელი კლასი, დახატვა კი შეიძლება ინდივიდუალურად.</p>		<p>თემატური ნახატების კოლაჟის შედგენა თემზე: რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ბუნებრივ გარემოში უსაფრთხოების წესების (მაგალითად, ცეცხლის დატოვება)</p>

<p>ვეხებით უცხო საგნებსა და ცხოველებს)?</p> <p>ცნებები: სწავლა / სწავლება / განათლება, გამოცდილება, უსაფრთხოება, საგანგებო სიტუაციები.</p>	<p>მინი-ლექცია: გაკვეთილის ბუნებრივ გარემოში ჩატარება, სადაც უსაფრთხოების საკითხები სიმულაციების გზით დამუშავდება. მოსწავლის წიგნი, I ნაწილი, გვერდი 23 -38</p> <p>დაუსრულებელი ამბის დასრულება.</p> <p>ჯიგსოუს მეთოდი (ურთიერთსწავლება - მუშაობა ჯგუფებში. თითო ჯგუფი თითო საკითხს შეისწავლის/გაეცნობა, დაამუშავებს. შემდეგ კი ერთ-ერთი გადადის სხვა ჯგუფში და უხსნის თავის დაგალებას): დაყავით კლასი 3 ჯგუფად, რომელთაგან ერთი იმუშავებს, ტყეში, წყალში და ყინულზე უსაფრთხოების შესახებ. მოსწავლის წიგნი, I ნაწილი, გვერდი 33-38.</p>	<p>რეკომენდაცია: გამოიყენეთ დისკუსიის თემა, როგორც დაუსრულებელი ისტორია. მოსწავლის წიგნი, I ნაწილი, გვერდი 31.</p>	<p>დაუცველობას; მოსწავლის რვეული, I ნაწილი, გვ. 14-21.</p> <p>სიტუაციის განხილვა იმის შესახებ, თუ რა შედეგები მოიტანა ბუნებრივ გარემოში უსაფრთხოების წესების გაუთვალისწინებლობამ. მოსწავლის რვეული, I ნაწილი, გვ. 22.</p> <p>პროექტი: ბედნიერი არადედები. მოსწავლის რვეული, I ნაწილი, გვ. 24. სქემიდან მოსწავლეები აირჩივენ ჩამონათვალიდან ერთ-ერთს და თითოეული შემთხვევისათვის, იმსჯელებენ შესაძლო საფრთხეებისა და შესაბამისი უსაფრთხო ქცევის წესების შესახებ. <i>შეფასების რუბრიკა 17 იხ. დანართი 1.</i></p> <p>პროექტი: მე საქართველოს მოქალაქე ვარ! რვეული, I ნაწილი, გვ. 25. <i>შეფასების რუბრიკა 17 იხ. დანართი 1.</i></p>
---	--	---	---

თემა: მედია და ინფორმაცია

მიზანი	აქტივობები	რესურსი	შეფასება
<p>ცნებები, საკვანძო შეკითხვები</p>	<p>იდეები საკლასო აქტივობებისთვის</p>	<p>აქტივობების განსახორციელებლად საჭირო მასალა + დამატებითი საკითხავი რესურსები პუბლიკაციებისთვის</p>	<p>დავალებების ტიპი შეფასების რუბრიკა</p>
<p>საკვანძო შეკითხვები: როგორ ხდებოდა ინფორმაციის გავრცელება/გადაცემა ძველად და ახლა? ცნებები: ჟურნალისტი/ინფორმაციის მომპოვებელი; თანამედროვე ტექნოლოგიები; კომუნიკაცია; სიახლე; ინფორმაციის წყარო; წარსული, აწმყო, მომავალი; სოციალური ქსელი.</p>	<p>გონებრივი იერიში: რისთვის არის საჭირო ინფორმაცია? როგორ იღებთ ინფორმაციას? მასწავლებლის მიერ დაფაზე მტრედის, ბოთლის და ძველად არსებული რომელიმე სხვა საკომუნიკაციო საშუალების დახატვა. ფოტოკოლაჟის გამოფენა, მოსწავლეების ჯგუფებად დაყოფა და დავალების მიცემა, თუ როგორ შეიმუშავებოდა მათი გამოყენება ინფორმაციის გასავრცელებლად. ან ფოტოკოლაჟის ჩვენება (სახელმძღვანელო, I ნაწილი, გვ. 43) ინფორმაციის გაცემის საშუალებების განვითარების შესახებ.</p>	<p>ფოსტის ისტორია https://www.gpost.ge/?site-lang=ka&site-path=company/history/ ფოსტალიონი მტრედები https://palitrane.ws.ge/video/fostalion-i-mtredები როგორ პოულობენ ფოსტის მტრედები სახლის გზას? https://zooclub.ambebi.ge/frinvelebi/saintereso/2799-rogor-poulobენ-fostis-mtredები-sakhლის-gzas.html</p>	<p>მსჯელობა: თანამედროვე ყოფაში ყველაზე ხშირად რომელ საშუალებებს იყენებენ ინფორმაციის გადასაცემად და რატომ? მოთხრობის დაწერა: როგორ მივაწვდენდი ხმას ადამიანებს, უკაცრიელ კუნძულზე რომ მოგხვედრილიყავი. ნახატის საშუალებით ინფორმაციის გადატანა ფურცელზე, რეგული, I ნაწილი, სავარჯიშო 2, გვ. 26. კვლევის ჩატარება, რეგული, I ნაწილი, გვ. 28.</p>

